ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## გუკა რჩეულიშვილზე ძებნა გამოცხადდა



გვ.5

10 მარტიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



პარასკევი, 13 მარტი, 2020 №61 (8325) ფასი: 60 თეთრი

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნებას“ პოლიტპატიმრების გამოშვება მაინც მოუწევს“



გვ.3

## უჩა ნანუაშვილი: „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში „ოცნებისთვის“ საგანგაშოა“

„საქართველო რეგიონში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხრივ ლიდერობას კარგავს“



გვ.3




გვ.2

## გაქვთ წარმატებები, მაგრამ ხარვეზები დარჩა

რა წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში

## რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ სერიოზულ კონკურენტს ვერ ხედავ“



გვ.3

„ლელო“ შუაშისტების ხმებს მიიღებს“

## პეტრე მამრაძე: „ხელისუფლებამ ოპოზიცია მოუგო“



გვ.4



გვ.2

## თეა წულუკიანი: „იუსტიციის სახლებში, რეესტრებსა და სანოტარო ბიუროებში 2 კვირა ნუ მიხვალთ!“



გვ.5

## შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება

ISSN 1987-9385

2 თენგიზ ცერცვაძე: „7 პაციენტი გვყავს, რომლებსაც პნევმონია აქვთ“

4 კომერციულ ბანკებში 1 დოლარის ღირებულებამ 3 ლარს გადააჭარბა

5 სუსმა ყალბი ვალუტის საქმეზე თურქეთის მოქალაქე დააკავა

6 ტრამპმა 13 მარტიდან ევროპიდან აშშ-ში ხალხის შესვლა 30 დღით აკრძალა
ევროკავშირმა ეს გადაწყვეტილება დაგმო

# გაქვთ წარმატებები, მაგრამ ხარვეზები დარჩა

## რა წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში

მთავრობამ გადადგა ნაბიჯები ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოსაძიებლად, მაგრამ ხარვეზები დარჩა, მათ შორის, ჟურნალისტებისა და დემონსტრანტების მიმართ 20-21 ივნისის აქციების დროს შეუსაბამო ძალის გამოყენებისა და 2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის აფგან მუხთარლის გატაცებასა და გადაცემის ფაქტებზე ანგარიშვალდებულების ნაკლებობის კუთხით.

ამის შესახებ აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ადამიანის უფლებების ყოველწლიურ ანგარიშში.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, გატაცების საქმის გამოძიება წინ არ წასულა.

„მთელი წლის განმავლობაში სახალხო დამცველის ოფისი, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო საზოგადოება გამოხატავდნენ შეშფოთებას 2017 წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის აფგან მუხთარლის საქართველოდან გატაცებისა და სხვა ქვეყნისთვის გადაცემასთან დაკავშირებით მთავრობის თანამდებობის პირების დაუსჯელობის გამო. დეკემბრამდე გენერალური პროკურატურის ოფისი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობას მუხთარლის გამოკითხვის თხოვნით მიმართა და მათგან პასუხს ელოდებოდა.

სახალხო დამცველის ოფისი, არასამთავრობო ორგანიზაციები და მუხთარლის ცოლი გამოძიებას გაჭიანურებისა და არასათანადო გამჭვირვალობის გამო აკრიტიკებდნენ, გარდა ამისა, ისინი აპროტესტებდნენ ხელისუფლების უარს, მუხთარლისთვის „დაზარალებულის სტატუსი“ მიენიჭებინათ.

ასეთი სტატუსი მუხთარლის ადვოკატებს საშუალებას მისცემდა, მოეთხოვათ მუხთარლისა და მისი ახლო ნათესავების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების სპეციალური დაცვა,“ — აღნიშნულია ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაშინდელი უფროსის ვახტანგ გომელაურის მიერ 2018 წლის ივლისში გაკეთებული კომენტარი იმის შესახებ, რომ „ზოგიერთი საქმის გამოძიება არასდროს სრულდება“ აძლიერებს შეშფოთებას თბილისიდან მუხთარლის გაუჩინარებასა და აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე მის დაკავებაში ხელისუფლების მონაწილეობის შესახებ.

„არასამთავრობო ორგანიზაციები გამომძიებლებს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტის იგნორირებაში ადანაშაულებდნენ. განვითარებული მოვლენები, მათ შორის ის, რომ ხელისუფლებამ ამ დრომდე ვერ მოახერხა, გამოძიების შუალედური ანგარიში წარმოედგინა, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაშინდელი უფროსის ვახტანგ გომელაურის მიერ 2018 წლის ივლისში გაკეთებული კომენტარი იმის შესახებ, რომ „ზოგიერთი საქმის გამოძიება არასდროს სრულდება“ აძლიერებს შეშფოთებას თბილისიდან მუხთარლის გაუჩინარებასა და აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე მის დაკავებაში ხელისუფლების მონაწილეობის შესახებ“, — აღნიშნულია ანგარიშში.




* * *

— ენჯეოების პოზიციაა გადმოცემული და არა თავად სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია კრიტიკის ნაწილში. ის, რომ სამწუხაროდ, ჩვენთან ენჯეოების ნაწილი ბათუ ქუთელიობის გზას ადგას, ესეც არ არის ახალი ჩვენი საზოგადოებისთვის.

ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძემ ჟურნალისტებთან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის კომენტირებისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ანგარიშში პოზიტიური შეფასებებიც ბევრია, ხოლო კრიტიკას ხელისუფლება აღიქვამს, როგორც მეგობრების მოსაზრებას.

— ამ ანგარიშს, როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ანგარიშს, ჩვენ ბუნებრივია, დიდი გულისყურით ვეკიდებით და ამას აღვიქვამთ როგორც მეგობრის პოზიციას, რომელსაც აქვს სურვილი, რომ ქვეყანაში დემოკრატია და კანონის უზენაესობა კიდევ მეტად განვითარდეს, ვიდრე ჩვენ მას მივაღწიეთ. არის ცალსახად დადებითი მომენტი და ბევრი დადებითი მომენტი, მაგალითად, ბავშვის უფლებათა კოდექსი, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კანონი, სამართალდამცველების მიერ გადადგმული ნაბიჯები იგივე 20 ივნისთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი პოზიტიური მომენტია, რომელზეც ბევრი შემიძლია ვისაუბრო.

თუმცა, რა თქმა უნდა, არის კრიტიკაც, რომელსაც ძალიან სერიოზულად ვეკიდებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები გავითვალისწინოთ, რაც შეიძლება რომ გავითვალისწინოთ.

თუმცა, აუცილებლად უნდა იყოს ხაზგასმული, რომ თავად ანგარიშშია პირდაპირ მითითებული და ციტირებულია ენჯეოებისა და ოპოზიციის პოზიცია, ანუ მათი პოზიციაა გადმოცემული და არა თავად სახელმწიფო დეპრატამენტის პოზიცია კრიტიკის ნაწილში.

ის, რომ სამწუხაროდ, ჩვენთან ენჯეოების ნაწილი ბათუ ქუთელიობის გზას ადგას, არ არის ახალი ჩვენი საზოგადოებისთვის. ეს არ არის, რა თქმა უნდა, აშშ-ის თავსატეხი, რომ ჩვენთან სამოქალაქო სექტორის რაღაც ნაწილი მიკერძოებულია, ეს უფრო ჩვენი თავსატეხია, რომ ჩვენ იმდენად უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სამოქალაქო აქტივობები და იმდენად უნდა იყოს ძლიერი სამოქალაქო ენჯეოები, რომლებიც ობიექტურად აკრიტიკებენ ხელისუფლებას და არა როგორც კოლექტიური ბათუ ქუთელიები. ეს რა თქმა უნდა, ჩვენი გამოწვევაა, — განაცხადა კილაძემ.

* * *

— ამ დოკუმენტის სტილია ასეთი — თავმოყრილია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ფაქტები.

ასე შეაფასა დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ ჩუგოშვილმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში.

მისივე თქმით, ანგარიში დიპლომატიურ ენაზეა დაწერილი, ხოლო კონგრესმენებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ უფრო პირდაპირ თქვან სათქმელი. დეპუტატი ამბობს, რომ მათ კრიტიკაზე ხელისუფლების მხრიდან მათთან გაშვებული გზავნილების საპასუხოდ, ხელისუფლებამაც მიიღო გარკვეული გზავნილები.

— სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, ჩემი აზრით, არ არის რადიკალურად განსხვავებული წინა წლების ანგარიშებიდან. ამ დოკუმენტის სტილი არის ასეთი — ის არის ფაქტებზე დაყრდნობილი სხვადასხვა წყაროებიდან მოგროვებული ინფორმაციის კომპილაცია. ანუ, მასში თავმოყრილია სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ფაქტები, რაც წლის განმავლობაში ხდება.

ზოგადად, გზავნილებთან დაკავშირებით არაერთხელ მითქვამს, არაფრით არ შეიძლებოდა პარტნიორებთან იმ გზავნილების გაშვება, რომ პოლიტიკოსები და კონგრესმენები რას ამბობენ, ეს არის მეორეხარისხოვანი და პირველხარისხოვანია სახელმწიფო დეპარტამენტი. ამით მხოლოდ დაიმძიმა საქმე ხელისუფლებამ, როცა ეს გზავნილები გაუშვა და საპასუხო გზავნილებიც მიიღო და მათ ძალიან კარგად იციან, რაზე ვსაუბრობ და რას ვგულისხმობ.

სახელმწიფო დეპარტამენტს რაც შეეხება, ისინი არიან დიპლომატები, საგარეო სამსახური და მათი, როგორც დიპლომატების, ენაში, ყოველთვის იქნება აზრის დიპლომატიური გამოხატულებები, ვიდრე პოლიტიკოსების განცხადებებში. პოლიტიკოსები ყოველთვის უფრო პირდაპირ იტყვიან თავიანთ სათქმელს, მათი მანდატი ამის შესაძლებლობას იძლევა, ზუსტად ამიტომ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, — დასძინა თამარ ჩუგოშვილმა.

# თეა წულუკიანი: „იუსტიციის სახლებში, რეესტრებსა და სანოტარო ბიუროებში 2 კვირა ნუ მიხვალთ!“

— მინდა, ყველას მოგმართოთ და მოგიწოდოთ, რომ დღეიდან მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, თუ არ არსებობს რაიმე გარდაუვალი აუცილებლობა, ნუ მობრძანდებით იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და სანოტარო ბიუროებში.

ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ, 12 მარტს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

თეა წულუკიანის განმარტებით, იუსტიციის სამინისტროს სისტემა, კერძოდ კი იუსტიციის სახლები, საზოგადოებრივი ცენტრები და მუნიციპალიტეტებში რეესტრების სხვადასხვა ტერიტორიული სამსახურები, ასევე სანოტარო ბიუროები დღეში ემსახურებიან 30.000-ზე მეტ მოქალაქეს. შესაბამისად, აუცილებელია, მოქალაქეებმა თხოვნა გაითვალისწინონ კორონავირუსის პრევენციის თვალსაზრისით.

— გარდაუვალი აუცილებლობა არის ის, რომლის გადადებაც გვიანდელი დროისთვის არ შეგიძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქემ, რომელსაც ექნება გარდაუვალი აუცილებლობა და მაინც მობრძანდება სერვისის მისაღებად, თავი შეიკავოს, რომ თან ჰყავდეს თანმხლები პირები. ეს არის კლასიკური შემთხვევა. განსაკუთრებით, იუსტიციის დიდ სახლებში, მოქალაქეები სერვისის მისაღებად თანმხლებ პირებთან ერთად მოდიან.

გთხოვთ, ამისგანაც შეიკავოთ თავი, რადგან ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი მოძრაობდეს საჯარო სივრცეებში.

მესამე — თუ შეგიძლიათ, რომ ესა თუ ის მომსახურება მიიღოთ ელექტრონულად, ონლაინ, ამ მეთოდს მიმართეთ. ჩვენ იმ სერვისების ნუსხას გამოვაქვეყნებთ, რომელთა მიღებაც შესაძლებელია ონლაინ, — განაცხადა წულუკიანმა.

მან ონლაინ მუშაობის წესებზეც ისაუბრა.

— თითოეულმა მენეჯერმა სახლში მომუშავე თანამშრომელს უნდა აუხსნას, რომ სახლიდან მუშაობა ნიშნავს სახლიდან მუშაობას და არა — კაფე-რესტორნებში ან სხვა ქალაქში ყოფნას, — აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, 11 მარტს შეხვედრა გაიმართა იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მენეჯერებთან, სადაც ონლაინ მუშაობის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა.

— გუშინ გვქონდა შეხვედრა იუსტიციის სამინისტროს სისტემის 30-მდე მთავარ მენეჯერთან, როგორც სსიპ-ებში, ასევე სამინისტროს აპარატში, პენიტენციარულ სამსახურში და სხვადასხვა ღონისძიება დავგეგმეთ.

ერთ-ერთი არის სწორედ ის, რომ გამოიკვეთოს ის საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც სახლიდან არის შესაძლებელი. ამ საქმიანობების განსაზღვრის შემდეგ ძალიან მარტივად იქნება შესაძლებელი, რომ თითოეულ თანამშრომელს, რომელიც მოცემულ საქმიანობას ახორციელებს, ინსტრუქცია მივცეთ, რომ ის სამუშაო ადგილას აღარ გამოცხადდეს და თავისი უფლებამოსილება სახლიდან განახორციელოს.

ასევე, გაიცა ინსტრუქცია იმაზე, რომ თითოეულმა მენეჯერმა სახლში მომუშავე თანამშრომელს უნდა აუხსნას, რომ სახლიდან მუშაობა ნიშნავს სახლიდან მუშაობას და არა კაფე-რესტორნებში ან სხვა ქალაქში ყოფნას, ვიდრე ეს არის მისი სამუშაო ადგილის დასახლებული პუნქტი. მუშაობა გაგრძელდება, მაგრამ ვისაც ეს შეეხება, სამუშაოს შეასრულებს სახლიდან, — განაცხადა თეა წულუკიანმა.



# თენგიზ ცერცვაძე: „7 პაციენტი გვყავს, რომლებსაც პნევმონია აქვთ“

## „მათგან 1 არის მძიმე, თუმცა ტენდენცია დაისახა გაუმჯობესებისკენ“

გუშინ, 12 მარტს, ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ არსებულ ვითარებაზე ისაუბრა.



— ამ მომენტისთვის ინფექციურ საავადმყოფოში სულ 42 პაციენტი წევს. დღეს დილის საათებში აღებული იყო 6 სინჯი, მათი პასუხები უკვე ცნობილია და 5 იყო უარყოფითი და 1 დადებითი. საღამოსთვის აღებულია კიდევ 4 სინჯი, პასუხებს ველოდებით. რამდენიმე ავადმყოფი უკვე მას შემდეგ შემოვიდა, რაც მეორე სინჯი იყო აღებული და მათ ხვალ დილით აუღებენ, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ

მისი თქმით, ინფიცირებულთაგან, 3 პაციენტის გარდა, ყველას შეხება აქვს იტალიასთან, 2 აქვს შეხება ირანთან და ერთს ესპანეთთან.

— ბოლო პაციენტზე არ ვიცი, იმყოფებოდა თუ არა თვითიზოლაციაში, ის გუშინ შემოვიდა ჩვენთან და თავი ცუდად იგრძნო და ისე მოვიდა ჩვენთან თუ თვითიზოლაციაში იმყოფებოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, აღენიშნება ტემპერატურის მცირე მომატება და სხვა არაფერი, — აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

ინფექციურ საავადმყოფოში 7 პაციენტი იმყოფება, რომლებსაც ორმხრივი ფილტვების ანთება, პნევმონია უფიქსირდებათ და მათგან მხოლოდ ერთის მდგომარეობაა მძიმე.

— 7 პაციენტი გვყავს, ვისაც აქვს ორმხრივი ფილტვების ანთება, პნევმონია, რაც თავისთავად სერიოზული დიაგნოზია, მაგრამ ამ შვიდიდან სულ ამაზე ვლაპარაკობთ, რომ ერთი იყო მძიმე და რჩება მძიმედ და ის იმყოფება განსაკუთრებული კონტროლისა და მკურნალობის ქვეშ.

მისი შემდგომი დამძიმება არ ხდება, პირიქით, დაისახა ტენდენცია გაუმჯობესებისკენ და ის ჩვენი იმედი, რომ მას არ განუვითარდებოდა სიცოცხლისთვის საშიში გართულებები და გამოჯანმრთელდებოდა, დღეს უფრო მყარია, ვიდრე იყო წინა დღეებში, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

# ჯანდაცვის მინისტრის თანაშემწის მეუღლეს კორონავირუსი დაუფიქსირდა

## ტიკარაძის თანამშრომელი თვითიზოლაციაშია



ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძის თანაშემწე, რომლის მეუღლესაც კორონავირუსი დაუფიქსირდა, თვითიზოლაციაში იმყოფება.

— ჩემი თანაშემწე იმყოფება თვითიზოლაციაში, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მის მეუღლეს დაუფიქსირდა კორონავირუსი, ის უკვე იყო თვითიზოლაციაში. შესაბამისად, ჩემს თანაშემწეზე და მის ოჯახზე გავრცელების რისკი, რა თქმა უნდა, იყო დაბალი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიღეთ პრევენციული ღონისძიებები და თანაშემწე უკვე 1 კვირაა, აღარ იმყოფება სამინისტროში, რაც, რა თქმა უნდა, გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მასაც არ დაუფიქსირდება კორონავირუსი.

ჩვენ პრევენციულად ჩავუტარეთ მას კვლევა, რომელიც იყო ნეგატიური კორონავირუსზე. ჩემთან მიმართებით საშიში არ არის, — განაცხადა ტიკარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნებას“ პოლიტპატიმრების გამოშვება მაინც მოუწევს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლეიბორისტული პარტიის წევრი **ლაშა ჩხარტიშვილი** პასუხობს.

***— ლაშა, ხელისუფლება აცხადებს, რომ პოლიტპატიმრები არ ჰყავთ. საფრთხის წინაშე ხომ არ დგება შეთანხმების პროცესი?***

— პოლიტპატიმრებისა და პოლიტიკური დევნის შეწყვეტის საკითხი აქტუალურია ყველანაირ, თუნდაც საარჩევნო კონტექსტში. რა ფასის მატარებელი იქნება ცვლილებები საარჩევნო სისტემაში, თუ „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ დევნას გააგრძელებს?!

წარმოიდგინეთ ვითარება, როცა რომელიმე მაჟორიტარულ ოლქში ან რომელიმე პარტიის შედეგების მიხედვით ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ თითოეული ჩვენგანი სიტუაციურად დაგვაპატიმროს. ბუნებრივია, რომ ეს, არჩევნების გარდა, ყველაფერი იქნება. აქედან გამომდინარე, დევნის შეწყვეტა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება პრინციპული საკითხია.

***— არსებობს ამის თაობაზე გადაწყვეტილება?***

— ამის თაობაზე გადაწყვეტილება ნამდვილად არსებობს. მართალია, ჩვენ უშუალოდ არ ვმონაწილეობთ ამ მოლაპარაკებებში, მაგრამ ამის ორი დოკუმენტი არსებობს და ამ დოკუმენტებზე ხელმოწერა მოხდა. მოვისმინეთ სენატორის განცხადება, სადაც მოუწოდებენ პოლიტიკური დევნის შეწყვეტისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლებისკენ. აქედან გამომდინარე, ეს პრინციპული საკითხია.

***— თუ არ დათმო ხელისუფლებამ და არ გამოუშვა ის პირები, რომელთა გათავისუფლებასაც ითხოვთ, მაშინ?***

— მაშინ დამოუკიდებლად მოუწევთ ამ კანონპროექტის მიღება, თუკი ამას მოახერხებენ, ყველა ის პარტია, რომლებიც პარლამენტშია წარმოდგენილი, თვითონ გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს, მაგრამ საკითხი ნამდვილად პრინციპულია. მაჟორიტარების ორნახევარჯერ შემცირება ჩვენი მხრიდან ისედაც კომპრომისული ვარიანტია, რადგან ჩვენი და საზოგადოების მოთხოვნა იყო სრულად პროპორციული სისტემა.

ამხელა კომპრომისის შემდეგ ნამდვილად დაკმაყოფილებული უნდა იყოს ის ელემენტარული საკითხი, რომელსაც პოლიტიკური დევნის შეწყვეტა და პოლიტპატიმრების გამოშვება ჰქვია. იმედს დავიტოვებთ, რომ საერთაშორისო ზეწოლის ფონზე ხელისუფლება გონს მოვა. უახლოეს პერიოდში დავინახავთ, რას აპირებს ხელისუფლება და ჩვენც შესაბამისად ვიმოქმედებთ.

***— შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეკრებისა და პროტესტის გამოხატვის საშუალებაც აღარ გეძლევათ და რას აპირებთ?***

— სამწუხაროდ, საკმაოდ მძიმე ვითარებაა ამ მხრივ. მე თვითონ ვარ ბიოლოგიის მაგისტრი და თავად ვმუშაობ დაავადების კონტროლის ცენტრში. გეტყვით, რომ სიტუაცია ძალიან რთულია. ხელისუფლება, სულ მცირე, აგვიანებს რეაქციას. ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც რამდენიმე კვირით ადრე მოვუწოდებდით ხელისუფლებას ჩინეთთან შეწყვეტის მიმოსვლას, შემდეგ ირანთან, იტალიასთან. ხელისუფლება, საბოლოო ჯამში, ასრულებდა ამ მოთხოვნას, მაგრამ — დაგვიანებით. ასევე მოვუწოდებდით, რომ გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთიც საკმაოდ სახიფათო იყო და კვლავაც დაგვიანებით მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

***— ზომების კიდევ უფრო გამკაცრებაა საჭირო?***

— რა თქმა უნდა. აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, სულ მცირე, ორი კვირის ვადით. თუ ისევ ფეხი არ აითრია ხელისუფლებამ საკუთარი კორუფციული ინტერესების გამო, ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვითარების ნორმალიზაცია და ეპიდემიური აფეთქების თავიდან აცილება.

არ არის საჭირო დაავადების მატების ლოდინი, სასწრაფოდ არის ეს გადაწყვეტილება მისაღები. თუ ასეთ გადაწყვეტილებებს მივიღებთ, შემდეგ, დათბობასთან ერთად, არის იმის შანსი, რომ ქვეყანა გამოძვრეს ამ სიტუაციიდან. ვიზრუნოთ ჩვენს მოქალაქეებზე და გამოვაცხადოთ ორკვირიანი საგანგებო მდგომარეობა.

სამწუხაროა, რომ ამ საყოველთაო პანდემიისა და მძიმე ვითარების ფონზე, ხელისუფლება აგვიანებს რეაქციას საეჭვო გარემოებების გამო.

***— რა საეჭვო გარემოებებს გულისხმობთ?***

— სავარაუდოდ, საკუთარი ბიზნესინტერესების გამო, მეორე მხრივ, უარს არ ამბობს სხვადასხვა ტიპის მავნებლურ საქმიანობაზე, მაგალითად, ისეთზე, როგორიც არის ამა თუ იმ უკანონო მშენებლობის ნებართვის გაცემა, მიწის ნაკვეთების გაყიდვა და ასე შემდეგ. ხელისუფლება აცხადებს ერთს და აკეთებს მეორეს. იმედია, ხელისუფლება შეაჩერებს სადავო და მავნებლური გადაწყვეტილებების მიღებას მანამ, სანამ სიტუაცია არ დასტაბილურდება.

საერთო პოლიტიკური ფონი სახარბიელო ნამდვილად არ არის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს კეთილ რჩევებს და გამოუშვებს პოლიტპატიმრებს. ეს მის ინტერესებშიც არის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული სანქციები ემუქრება.

აუცილებლად მოუწევს ივანიშვილს ყველა რეკომენდაციის შესრულება, პირველ რიგში, პროტესტის შიშით და ასევე, ეს მისი პირადი კეთილდღეობისთვის არის მნიშვნელოვანი.



***— ანუ ელოდებით, რომ ეს არჩევნები უკეთეს პირობებში ჩატარდება?***

— დიახ, შედარებით უკეთესი უნდა იყოს, მაგრამ ბრძოლა დაგვჭირდება ყველა ოლქში, ყველა ქუჩაზე, რადგან იქნება მოსყიდვისა და დაშინების მცდელობა. მართალია, უკეთესი სისტემით, მაგრამ დარღვევა მაინც ბევრი იქნება. მაქსიმალურად ბევრი ამომრჩეველი უნდა მოვიდეს საარჩევნო ურნასთან და ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას.

გპირდებით, რომ ეს გამარჯვება რეალური გახდება, თუ ამომრჩეველი იაქტიურებს.

# უჩა ნანუაშვილი: „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში „ოცნებისთვის“ საგანგაშოა“

## „საქართველო რეგიონში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხრივ ლიდერობას კარგავს“

იაგო ნაცვლიშვილი



ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს შესახებაც არის საუბარი. შემაჯამებელ ნაწილში მოხვდა ისეთი მოვლენები, როგორებიც არის 20 ივნისის გავრილოვის ღამე და შემდგომი დაკავებები, პროპორციულ საარჩევნო მოდელზე გადასვლის ჩაგდება და გაჩნდა ტერმინი „პოლიტიკური პატიმრები“. ანგარიშში საუბარი იმაზეც არის, როგორ დაესხა თავს ბიძინა ივანიშვილი „ენ-დი-აი“-სა და „აი-არ-აი“-ს.

ანგარიში უნდა გავიგოთ ყოველწლიურ რუტინულ ანგარიშად თუ საქართველოს ხელისუფლების მკაფიო კრიტიკად და ამერიკიდან წამოსული კრიტიკის გაგრძელებად? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ყოფილი სახალხო დამცველი, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორი **უჩა ნანუაშვილი** საუბრობს.

***— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ხაზგასმულია 20 ივნისის მოვლენები, შემდგომი დაკავებები, პოლიტპატიმრების თემა და ა.შ. ეს უნდა გავიგოთ ამერიკის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის გაგრძელებად თუ ჩვეულებრივ, ყოველწლიურ ანგარიშად?***

— რა თქმა უნდა, სახელმწიფო დეპარტამენტი საქმიანობას ყოველწლიურად აფასებს და თითოეული საკითხი, რომელიც შედის ანგარიშში, ეყრდნობა გარკვეულ მტკიცებულებებს, ანუ ეს არ არის ანგარიში ანგარიშისთვის. დეპარტამენტი ცდილობს, ყველაზე პრობლემურ საკითხებზე გაამახვილოს ყურადღება და საქართველოს შემთხვევაში ჩანს, რომ თემები, რომლებზეც სახელმწიფო დეპარტამენტი ხელისუფლებას აკრიტიკებს, უფრო და უფრო გაფართოებულია. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ბევრ საკითხს ეხება ანგარიში და გამკაცრებულია ტონიც.

ანგარიშში ბევრ პრობლემურ საკითხზეა საუბარი, რომლებიც წინა წლების ანგარიშებში არ ყოფილა შესული. ეს უფრო მეტად იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სახელმწიფო დეპარტამენტი ობიექტურად აფასებს და ცდილობს, მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს იმისათვის, რომ სახელმწიფო მიახვედროს, საით მიჰყავს ქვეყანა, მით უმეტეს წელს, როდესაც საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი, ანუ დეპარტამენტის ანგარიში მკვეთრად გამკაცრებულია, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრ სფეროში უფრო და უფრო გაუარესებულია მდგომარეობა. ეს ძალიან აშკარად ჩანს ამ ანგარიშიდან, თუ წინა წლების ანგარიშებს შევადარებთ. არის ახალ თემებზე საუბარი, რომლებიც წინა ანგარიშებში არ ითვლებოდა პრობლემად.

***— მაგალითად, რომელია ასეთი საკითხი?***

— მაგალითად, ივნისის მოვლენები, როდესაც საუბარია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე. წინა წლებში ნაკლებად იყო ეს შეზღუდვა. წინა წლებში თუ იყო რამე შემთხვევა, იყო ეპიზოდური ხასიათის და მას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. დაკავებები ხდება პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, ანუ შერჩევითი სამართლის გამოყენებაზეა საუბარი. სასამართლო სისტემაზე კიდევ უფრო დეტალურად არის საუბარი და ჩანს, რომ ამ სფეროში არათუ არ გაუმჯობესდა ვითარება, პირიქით, კიდევ უფრო გაუარესდა.

იმავე მედიაში არსებულ მდგომარეობაზე არის ნათლად საუბარი, რაც წინა წლებში ნაკლებად იყო. აქედანაც ჩანს, რომ ამ სფეროშიც სერიოზული პრობლემებია და სახელმწიფო დეპარტამენტი საუბრობს იმ მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს. ეს ეხება როგორც კერძო ტელეკომპანიების გარშემო განვითარებულ მოვლენებს, ისე აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელში განვითარებულ პროცესებს და ამაზე ძალიან გარკვევით არის აღნიშნული ანგარიშში. ეს ის თემებია, რომლებზეც წინა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ სერიოზულ კონკურენტს ვერ ვხედავ“

## „ლელო“ შუაშისტების ხმებს მიიღებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთიანობის შენარჩუნებას და ერთიანი კანდიდატებით გასვლას მაჟორიტარულ ოლქებში?***

— ძალიან რთული საკითხია, რადგან არჩევნებში ყველა ერთმანეთის კონკურენტია. იმის თქმა, რომ ჩვენ მხოლოდ „ქართული ოცნების“ კონკურენტი ვიქნებით, რთულად განსახორციელებელი მგონია. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ორპარტიული არჩევნებია.

როდესაც ასეთი მრავალპარტიულია ოპოზიცია, ამდენი ლიდერია, რომლებსაც თავიანთი იდეები, ამბიციები, სტრატეგია აქვთ, ასეთი განცხადებები ცოტა არადამაჯერებლად ჟღერს მათი მხრიდან.

***— მით უფრო 1%-იანი ბარიერის პირობებში?***

— დიახ, რა თქმა უნდა. ყველა წვრილწვრილ პარტიას მოუნდება პარლამენტში შესვლა. მით უფრო მაშინ, როდესაც ეს არის უკანასკნელი შანსი, რადგან შემდეგი არჩევნები უკვე 5%-იანი ბარიერით ჩატარდება.

პოლიტიკა არ არის ალტრუიზმის სფერო. ასეთი დათმობებით პარტიებმა შეიძლება თავიანთი ამომრჩევლები დაკარგონ. მაგალითად, „ლელო“ არ არის ნაციონალური მოძრაობის თაყვანისმცემელი და ამ დროს მას მოუწია თავისი სტრატეგიის აწყობა ისე, რომ ნაციონალურ მოძრაობას გაუწიოს ანგარიში. ასე შეიძლება მან თავისი ამომრჩეველი დაკარგოს.

***— „ლელო“ შუაშისტებზე გააკეთებს აქცენტს?***

— დიახ, „ლელო“ თუ ხმებს მიიღებს და ნამდვილად მიიღებს, სწორედ ასეთ შუაშისტურ ხმებს მიიღებს. ბევრი მიზეზია საიმისოდ, რომ ასეთი დასკვნა გავაკეთოთ.

***— 40%-ს გადალახავს „ქართული ოცნება“ და მარტო დააკომპლექტებს მთავრობას?***

— 2012 წლის „ქართულ ოცნებასა“ და დღევანდელ „ქართულ ოცნებას“ შორის რომ იყოს შეჯიბრება, დღევანდელი „ოცნება“ აუცილებლად დამარცხდებოდა, მაგრამ ასე არ არის. თუმცა, ვინ არის კიდევ ამ შეჯიბრებაში — ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც უარი უთხრა ამომრჩეველმა. რაც შეეხება სხვა პარტიებს, მაგალითად, „ლელოს“, ამომრჩეველი პრაგმატულად იღებს გადაწყვეტილებას. ხედავს ის ამ პარტიაში იმ ძალას, რომელიც საქმეს ბოლომდე მიიყვანს?!

2012 წელს ის ხალხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ემხრობოდა, თავის დროზე ემხრობოდა ლევან გაჩეჩილაძეს, მაგრამ ეს მხარდაჭერა არ აღმოჩნდა საკმარისი რეალობის შესაცვლელად — საბოლოო გამარჯვებისთვის კიდევ რაღაც სხვა იყო საჭირო.

***— ნდობის ხარისხზე საუბრობთ?***



— დიახ. ანალოგიურად დგას დღესაც საკითხი. შეიძლება ბევრი ოპოზიციური პარტიის პოზიციას ემთხვეოდეს ამა თუ იმ ამომრჩევლის პოზიცია, მაგრამ ნდობა არ იყოს, ნაკლები იყოს ნდობის ხარისხი და ასე დადგეს საკითხი: შეძლებს კი გამარჯვებას?! მიიყვანს კი საქმეს ბოლომდე?!

ბევრი ფაქტორი მუშაობს ამ დროს. ძალის რწმენა არჩევნებში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია და ეს ძალიან ცნობილი ფორმულაა საერთოდ.

***— თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ 40%-ს მიიღებს და მარტო დააკომპლექტებს მთავრობას?***

— თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, დღეს არ ჩანს ძალა, რომელიც „ოცნებას“ სერიოზულად დაუპირისპირდება და ხმებს წაართმევს. ისეთი ძალა, რომელიც 2012 წელს გამოჩნდა და რომლის ირწმუნა ხალხმა, რომელიც დაუპირისპირდა ნაციონალურ მოძრაობას და დაამარცხა. ასეთი რწმენის გაჩენაა მთავარი, რომელიც ჯერ ხალხში ნამდვილად არ არის. მე ამაზე ვსაუბრობ.

***— თუ ოპოზიციამ ჯამურად 50% დააგროვა, ამ შემთხვევაში რა ხდება?***

— პარლამენტში შესული პარტიების დიდი ნაწილი წვრილი პარტიები იქნება, მე არ მგონია, რომ ეს პარტიები ნაციონალური მოძრაობის დროშის ქვეშ დადგნენ. უპირველეს ყოვლისა, „პატრიოტთა ალიანსს“ ვგულისხმობ. ამდენად, ოპოზიციის იმედები, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ შევიკვრებით და არათუ 40%, არამედ 50% ვიქნებით, ცოტა გადაჭარბებული მგონია.

ეს უფრო იმას ჰგავს, საკუთარი თავი რომ გაამხნევო — ძალიან მაგარი ვარ! ასე ამხნევებს ოპოზიცია დღეს საკუთარ თავს. ასეც რომ იყოს, გაერთიანდნენ, ჯამურად მეტი პროცენტი აიღეს და მოითხოვეს მინისტრების პორტფელები, არ მგონია, რომ მსხვილმა პარტიებმა, მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ, „ევროპულმა საქართველომ“, ამ წვრილ პარტიებს მინისტრების პორტფელები გაუნაწილონ, ისინი იტყვიან, რომ მათ მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ.

ამიტომ პატარა პარტიებისთვის, არ მგონია, ამ ერთობაში ყოფნა მომგებიანი იყოს.

# პეტრე მამრაძე: „ხელისუფლებამ ოპოზიციას მოუგო“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

***— ბატონო პეტრე, მოელოდით თუ არა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო მოდელზე (120/30 კონფიგურაციაზე) შეთანხმებას, რომელიც უცხო ქვეყნის დიპლომატების შუამავლობით იქნა მიღწეული?***

— დაახლოებით ასეთ შეთანხმებას მოველოდი. ეს არის უკვე მერამდენე მაგალითი იმისა, რომ „ოცნება“ სრულიად უწყინარ სიტუაციაში იდიოტურ შეცდომებს უშვებს, მერე უკვე თავისი დაშვებული შეცდომები რომ გაასწოროს, ახალ შეცდომებს უშვებს, შემდეგ შედის გარკვეულ რთულ სიტუაციაში. ბოლოს, მეტ-ნაკლებად, შეიძლება გამოვიდეს რაღაც დანაკარგებით.

გავრილოვის ე.წ. დესტაბილიზაციიდან მოყოლებული, შემდეგ უცებ გამოცხადებით, რომ პროპორციულ სისტემაზე გადადიან, რასაც მოჰყვა შიგნით, გუნდში აშკარა განხეთქილება, მაჟორიტარების ნაწილის აჯანყება და 14 ოქტომბერს არჩევნების პროპორციული სისტემის ჩავარდნა, რომელმაც ჩვენს დასავლელ პარტნიორებში გაოცება გამიწვია.

დასავლელი პარტნიორები ამბობდნენ, თვითონ „ოცნება“ გვეუბნებოდა, რომ ისინი მზად არიან პროპორციული საარჩევნო სისტემის მისაღებად, აცხადებდნენ, პროპორციული საარჩევნო სისტემა ქვეყანას სჭირდება დემოკრატიისთვის და მერე თვითონვე ჩააგდესო.

მიაქციეთ ყურადღება, პროპორციული საარჩევნო სისტემის პროექტის ჩავარდნის შემდეგ „ოცნების“ რიგები დატოვეს მათ, ვინც მხარს უჭერდა პროპორციულ სისტემას, მაჟორიტარები კი დარჩნენ სახელისუფლებო გუნდში. ამან ჩვენი უცხოელი პარტნიორები გააოგნა, თუ გუნდი მომხრეა, პროპორციული სისტემის ასეთი დაყოფა რას ნიშნავსო. გასაგები იქნებოდა, ის მაჟორიტარები რომ გასულიყვნენ „ოცნებიდან“, ვიდრე ისინი, ვინც ხმა პროპორციულს მისცა. ასეთი კურიოზული სიტუაცია იყო.

***— ამ ფონზე ახლანდელი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია როგორ ჩანს?***

— ახლანდელ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციას არ შეიძლება ანდო ხალხის ბედი. მათ მე კარგად ვიცნობ. ეს ოპოზიცია არ არის.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მათ ხალხისა და ქვეყნის ბედი არ აღელვებთ. რაც უარესი საქართველოსთვის, მით უკეთესი მათთვის. კარგია, რომ ამდენი შეცდომის შემდეგ ხელისუფლებამ გამოიჩინა გარკვეული ნებისყოფა და შეთანხმება შედგა.

ე.წ. ოპოზიცია უკვე ისეთ ჩიხურ მდგომარეობაში იყო, რომ არ დათანხმებულიყო, ჩვენი პარტნიორები დასავლეთში იტყოდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ კომპრომისი, მათ უნდათ კონფლიქტი კონფლიქტის გულისთვისო.

***— გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციას მოუგო იმ დუელში, რომელიც გაიმართა მათივე შეცდომის გამოისობით?***

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ოპოზიციას მოუგო, მაგრამ, რამდენიმე შეცდომას რომ დაუშვებ, ხალხისა და ამომრჩევლის თვალში ხელისუფლების მოქმედება მომგებიანია თუ ძალიან წამგებიანი.

***— ხელისუფლების მოქმედება მომგებიანი იყო თუ წამგებიანი?***

— მე ურთიერთობა მაქვს ხალხთან, მათ შორის, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთან და არ შემხვედრია არც ერთი ადამიანი, რომ ეთქვა, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ ჭიდაობაში ან უმრავლესობას, ან მმართველ გუნდს, ან კიდევ ე.წ. ოპოზიციას ხალხის ბედი და ინტერესები აღელვებთო. ყველა მეუბნებოდა, ეგენი პარლამენტში ადგილების დასაკავებლად თავიანთი კეთილდღეობისათვის იბრძვიანო.

პარლამენტში შესვლა იმიტომ უნდათ, რომ დიდი ფული დაატრიალონ, დიდი ფულის პატრონი გახდნენ და სასახლეები, აუზები ააშენონ, ძვირფასი ჯიპებით იარონ. ფუფუნებაში იცხოვრონ. ასე მსჯელობს ხალხი.

განვითარებულ ქვეყნებში პარტიები საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებს წარმოადგენენ პარლამენტში. ჩვენთან კი პიროვნებებს შორის დაჯგუფება იქმნება და რეგისტრაციას გადის, როგორც პარტია, რადგან ჩვენთან, როგორც კირკიტაძემ თქვა მანქანაში ვარდების რევოლუციის დროს, ისეა: ახლა ქვეყანა ჩვენი იქნება, დაო, ჩვენ ახლა ვიგრიალებთ მაგრად, ყველაფერი ჩვენი იქნება, ფულიც და ქონებაც. მაგარი ცხოვრება გველის, მაგრამ ხალხს რა უხარია, ერთი გამაგებინაო. ეს არის გამაოგნებელი განცხადება.

***— განუწყვეტელი პერფორმანსების, დაბოქლომების, პარლამენტში საწამლავის მოსხმისა და მტრის ჰიმნის აჟღერების შემდეგ, რომელმაც თავი მოგვაწყინა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოხდა შეთანხმება. საარჩევნო სისტემაზე შეთანხმების შემდეგ ოპოზიცია არჩევნებზე ერთიანად გამოსვლას შეძლებს, თუ ნათელაშვილის ოფისში შეკრებილი ჯგუფები საარჩევნოდ დეზინტეგრირდებიან?***

— მათი შინაგანი ერთიანობის წარმოდგენა შეუძლებელია, ვინაიდან საერთო ინტერესი, რომელიც მათ შეიძლება აერთიანებდეთ, არ არის. 2012 წელს ისინი უპირობოდ ერთიანდებოდნენ, მათ შორის, ისინიც, ვინც ახლა ლეიბორისტების ოფისში და კიევში სააკაშვილთან შესახვედრად დადიან. მაშინ ისინი კოალიცია „ოცნებაში“ შევიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ხედავდნენ, მაშინ ივანიშვილი ხალხში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა და პარლამენტში შევიდოდნენ, შეიძლებოდა, მინისტრებიც კი გამხდარიყვნენ, მაგალითად, რესპუბლიკელები და ალასანიას ჯგუფი, რომლებმაც პარლამენტსა და მთავრობაში ბევრი ადგილი და თანამდებობები მიიღეს, ეს მაშინ, როდესაც ბარიერის გადალახვის პრობლემა ჰქონდათ, ანუ 2012 წელს ერთპიროვნული ლიდერი იყო გამოკვეთილი და შეეძლო მათი პარლამენტში შეყვანა. ახლა ასეთი ქარიზმატული და ხალხში პოპულარული ლიდერი არ ჩანს. ამიტომ ახლა ნაკლებად ველი ოპოზიციის გაერთიანებას. იდეებსა და იდეალებზე აღარც ვილაპარაკებ.

1%-იანი ბარიერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საარჩევნო პროპორციის 77/73-ის შეცვლა 120/30-თ. პატარ-პატარა პარტიებს ეს ბარიერი შანსებს აძლევს.

***— ამ შეთანხმების შემდეგ ნაცები და ევრონაცები იჩემებენ, ე.წ. პოლიტპატიმრები უნდა გათავისუფლდნენო. ამაზე რა შეიძლება ითქვას?***

— ეს არის ჩვენი პროვინციული ჭაობის დამადასტურებელი ნიშანი.

***— რატომ?***

— როგორ შეიძლება ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტპატიმრებზე მოლაპარაკება. ტერორისტული დაჯგუფებების სამყაროა, რომ თქვან, ციხიდან გამოვიყვანო. კანონის უზენაესობა სად არის? ჯერ ოპოზიციამ უნდა დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის პატიმარი პოლიტპატიმარია.

***— მით უმეტეს, შეიძლება, ელჩებმა დაავალდებულონ ხელისუფლება, ე.წ. პოლიტპატიმრები გაათავისუფლეთო?***

— ელჩები ცოცხალი თავით ამას არ აკეთებენ. 2012 წელს სენატორები რიში, შაჰინი, არჩევნების მეორე დღეს ელჩ ნორმანთან ერთად შევიდნენ სააკაშვილთან და პირდაპირ უთხრეს, შენმა პარტიამ წააგო არჩევნებში, თუ ძალადობა გაგრძელდება საქართველოში (არჩევნების ღამე ხომ გახსოვთ ბორჯომსა და ხაშურში), ჩვენ, ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები გამოვაცხადებთ, რომ საქართველოში ხელისუფლება ნაცმოძრაობის მიერ არის უზურპირებული და ჩვენი ქვეყანა საქართველოსთან ისეთ ურთიერთობაზე გადავა, როგორიც ზოგიერთ დიქტატორულ რეჟიმთან აქვსო.

# უჩა ნანუაშვილი: „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში „ოცნებისთვის“ საგანგაშოა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წლებში ნაკლებად იყო საუბარი და, შესაბამისად, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ახალ პრობლემებად, რომელსაც ადეკვატურად აფასებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

***— „ოცნება“ აცხადებს, პოლიტპატიმრები არ გვყავსო, მაგრამ ამ ანგარიშში ეს თემაა წამოწეული, რაც ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში პოლიტპატიმრებს აღიარებს?***

— მე მახსოვს, რომ წინა ხელისუფლების დროსაც იყო მსგავსი ფორმულირებები. შესაძლოა, არ იყო პირდაპირ ჩანაწერი, რომ პოლიტპატიმრები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური ნიშნით დევნასა და იმაზე იყო საუბარი, რომ რამდენიმე ორგანიზაცია სწორედ ასე აღიქვამდა კონკრეტულ პატიმრებს. ის, რომ ასეთი წარმოდგენა არსებობს დღესაც, ცალსახად ჩანს ამ ანგარიშიდან. ეს ნიშნავს იმას, რომ სწორედ პოლიტიკური ნიშნით მოხდა რამდენიმე ადამიანის დაკავება ბოლო პერიოდში.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხელისუფლებამ რაღაცნაირად გააცნობიეროს, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნას. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა სწორედ 20 ივნისის მოვლენების შემდგომ. რა არის აქ ძალიან მნიშვნელოვანი, იცით? შესაძლოა, იმ ადამიანს, რომელსაც პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევენ ორგანიზაციები, ჰქონდეს კიდეც გარკვეული დანაშაული ჩადენილი, მაგრამ აქ საუბარია მოპყრობაზე, რამდენად სწორად ეპყრობა მათ სახელმწიფო და ხდება თუ არა იგივე სამართალწარმოება სხვა შემთხვევებშიც. როდესაც არ ხდება და მხოლოდ პოლიტიკურად აქტიურ პირებზე ხდება მართლმსაჯულების გამოყენება, რა თქმა უნდა, ეს უკვე პოლიტიკური მოტივაციაა და შერჩევითი სამართალია ყველაზე უფრო სერიოზული პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა, განსაკუთრებით გასულ და მიმდინარე წელს. ეს ძალიან რეალისტურ ფერებშია ასახული სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

***— წინა ანგარიშებში ამ ხელისუფლების პირობებში ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“ არ იყო ნახსენები. ასევე არ იყო ასეთი მკაფიო კრიტიკა როგორც დეპარტამენტის, ისე სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებში. ეს არის თუ არა საგანგაშო ქვეყნისთვის და პირველ რიგში — ხელისუფლებისთვის?***

— რა თქმა უნდა, ეს არის საგანგაშო და პირველ რიგში — ხელისუფლებისთვის, ზოგადად, ქვეყნისთვის, იმიტომ, რომ როდესაც წლების განმავლობაში ასეთ რაღაცებზე არ ყოფილა საუბარი და ამდენი წლის შემდეგ ჩნდება ასეთი ჩანაწერები, ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში რეალურად პრობლემებია და ანგარიში ირეკლავს იმ პრობლემებს, რომლებიც ქვეყანაშია. როდესაც სახელმწიფო არ აღიარებს ამ პრობლემებს, მით უარესია ეს ქვეყნისათვის, მით უმეტეს ეს ანგარიში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და რომელიც გავლენას ახდენს შემდეგ პროცესებზეც, ანუ ეს არ არის ფარატინა ქაღალდი, რომელიც დაიწერება და მერე არავინ აღარ შეხედავს. ეს არის დოკუმენტი, რომელიც გავლენას ახდენს, მათ შორის პოლიტიკის ჩამოყალიბებაშიც გარკვეულ როლს ასრულებს, ისევე, როგორც შემდგომი მოვლენების განვითარებაში.

რა პროცესს რა სახელი დაერქმევა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინოს. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ანგარიშში პოლიტპატიმრების ჩაწერა საგანგაშოა. ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ნიშნით ადამიანები იდევნებიან, რეალურად შორს წასული პროცესია და პირველად არ ხდება ამაზე საუბარი, მაგრამ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საუბრობენ, ეს ნამდვილად საგანგაშოა და ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

***— ქვეყნებს შორის ურთიერთობაზეც მოახდენს გავლენას?***

— დიახ, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი ანგარიში. მანამდე იყო კონგრესმენების წერილი, ასევე იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები. მთლიანობაში, ეს ყველაფერი ცვლის იმ განწყობასა და წარმოდგენას, რომ საქართველო რეგიონში არის ლიდერი დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში პროცესები სერიოზული უკუსვლით მიმდინარეობს და სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. ფაქტობრივად, ეს ანგარიში ამ პროცესის ერთგვარი დაგვირგვინებაა იმ განცხადებებისა და ანგარიშების, რომლებზეც მანამდე სხვა ორგანიზაციების მხრიდან იყო საუბარი. სახელმწიფო დეპარტამენტი არის ოფიციალური ორგანო და ინსტიტუტი, რომელიც ამერიკის პოზიციას გამოხატავს. ამიტომ, რას ჩაწერს და რას აღნიშნავს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკის განვითარებაზეც მოახდენს გავლენას, იმაზეც, თუ როგორი იქნება აშშ-ის პოლიტიკა ქვეყანაში.

# ამირან გამყრელიძე: „ქვეყანაში 1.000-მდე ადამიანია თვითიზოლაციაში“



## „მინდა მათ ვთხოვო, ნუ დაარღვევენ რეჟიმს“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, თვითიზოლაციაში 1.000-მდე ადამიანია.

ამირან გამყრელიძე თვითიზოლაციაში მყოფ პირებს მოუწოდებს, არ დაარღვიონ რეჟიმი და გარკვეული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში ექიმს მიმართონ.

— არ იმოგზაუროთ და, თუ ვიმოგზაურებთ, რომ ჩამოვდივართ იმ 8 ქვეყნიდან, აუცილებელია, ვიყოთ კარანტინში ან თვითიზოლაციაში. თუ ვართ თვითიზოლაციაში, დავიცვათ წესები.

მინდა, მივმართო ყველა ამ ადამიანს, დღეს ქვეყანაში დაახლოებით 1.000-მდე ადამიანია თვითიზოლაციის რეჟიმში, მინდა ვთხოვო მათ, ნუ დაარღვევენ ამ რეჟიმს და თუ თვითიზოლაციის პერიოდში იქნა გარკვეული სიმპტომები, მიმართონ, დაურეკონ ექიმს. დღეს ვთხოვთ მათ, რომ დაურეკონ, რადგან რაც შეიძლება ნაკლები იყოს პირდაპირი მიმართვები. სთხოვონ ექიმს, რომ დაუნიშნონ ვიზიტი და ზუსტად დათქმულ დროზე მივიდეს, რათა თავი ავარიდოთ დიდ რიგებს და თავყრილობებს.

არ გვინდა დიდი ქორწილები, როგორც ვიცით ქართველებმა, ასევე ღმერთმა გვაშოროს სხვა დიდი თავყრილობები, თავი შევიკავოთ, რადგან ყველა ამ თავყრილობის დროს არის რისკი ვირუსის გადაცემისა და გავრცელების, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

# კომერციულ ბანკებში 1 დოლარის ღირებულებამ 3 ლარს გადააჭარბა



კომერციულ ბანკებში 1 დოლარის ღირებულებამ 3 ლარს გადააჭარბა. კერძოდ, „საქართველოს ბანკში“ 1 დოლარის შეძენა 3.015 ლარად არის შესაძლებელი, ხოლო გაყიდვა – 2.945 ლარად.

„თიბისი ბანკის“ სტანდარტულ მომხმარებლებს 1 დოლარის ყიდვა 3.0100 ლარად შეუძლიათ, ხოლო გაყიდვა – 2.9100 ლარად.

„ვითიბი ბანკში“ 1 დოლარის შეძენა 3 ლარად არის შესაძლებელი, ხოლო გაყიდვა – 2.93 ლარად.

„ბაზის ბანკის“ მომხმარებლებს 1 დოლარის ყიდვა 3.005 ლარად შეუძლიათ, ხოლო გაყიდვა – 2.945 ლარად.

„ქართუ ბანკში“ 1 დოლარის შეძენა 2.9950 ლარად არის შესაძლებელი, ხოლო გაყიდვა – 2.9450 ლარად.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დღევანდელი ვაჭრობის შედეგად აშშ დოლარის ღირებულებამ 2.9494 ლარი შეადგინა. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.8791 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით 0.0703 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 3.3145 ლარია. მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 3.2591 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 0.0554 ლარი შეადგინა.

# კახა კალაძე: „შენ ძლიერი ხარ, იტალია — გაუმკლავდები და გადალახავ ამ მასშტაბურ გამოწვევებს“



„ფორცა იტალია“, შენ ძლიერი ხარ, იტალია, – ამის შესახებ თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს, რითაც იტალიაში კორონავირუსის გამო შექმნილ ვითარებას ეხმაურება.

როგორც კალაძე წერს, იტალია გადალახავს მასშტაბურ გამოწვევას.

„ფორცა იტალია“, შენ ძლიერი ხარ, იტალია. შენ გაუმკლავდები და გადალახავ ამ მასშტაბურ გამოწვევებს, შენ გაქვს ჩვენი მხარდაჭერა“, – წერს კალაძე „ტვიტერზე“.

ცნობისთვის, იტალიაში, ბოლო მონაცემებით, კორონავირუსით გარდაცვალების 827 შემთხვევა დასტურდება.

# გუკა რჩეულიშვილზე ძებნა გამოცხადდა

გუშინ, 12 მარტს, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელ გუკა რჩეულიშვილს მისი მეუღლის, ლელა კილაძის საჩივრის საფუძველზე პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა.

რჩეულიშვილის დაპატიმრების მიზეზი მისთვის მეუღლის მიმართ შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევა გახდა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, შემაკავებელი ორდერის დარღვევის ფაქტზე პოლიციაში დაბარებულმა გურამ რჩეულიშვილმა 11 მარტს ფხვიერი მასა წარადგინა, რაც, მისი განმარტებით, კოკაინი იყო, რომლის ნაწილიც იქვე მოიხმარა.

ამის გამო გუკა რჩეულიშვილის მიმართ გამოძიება ნარკოდანაშაულის ფაქტზეც დაიწყო, რადგან მას ნარკოტიკების, მათ შორის კოკაინის მოხმარება დაუდგინდა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და გურამ რჩეულიშვილს მეუღლის, ლელა კილაძის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

ვინაიდან გურამ რჩეულიშვილი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე და თავს არიდებს გამოძიებას, პროკურორის დადგენილებით, მასზე გამოცხადდა ძებნა.

გამოძიებით დადგინდა, რომ გურამ რჩეულიშვილს, 2020 წლის 25 თებერვალს გამოცემული შემაკავებელი ორდერით, 30 დღით აეკრძალა მეუღლესთან, ლელა კილაძესთან, რაიმე ფორმით, მათ შორის სატელეფონო ან სხვა რაიმე ტექნიკური საშუალების გამოყენებით კომუნიკაცია.

მიუხედავად აღნიშნულისა, გურამ რჩეულიშვილმა 2020 წლის 8 მარტს ღამის საათებში ლელა კილაძის ადგილსამყოფელის დადგენისა და შეხვედრის ორგანიზების მიზნით, მოკლე ტექსტური და ხმოვანი შეტყობინებები გაუგზავნა, რითაც დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ შემაკავებელი ორდერის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დაბარებულმა გურამ რჩეულიშვილმა 11 მარტს, პოლიციის განყოფილებაში მოთეთრო ფერის ქაღალდში შეხვეული, ასევე თეთრი ფერის ფხვიერი მასა წარადგინა, რომელიც, მისი განმარტებით, იყო ნარკოტიკული საშუალება კოკაინი და რომლის ნაწილიც მან მოიხმარა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით (260-ე მუხლის პირველი ნაწილით) დაიწყო.

სამართალდამცველებმა ზემოაღნიშნული ნივთიერება ამოიღეს, ხოლო მისი პირადი



ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა ერთჯერადი მოხმარების ე.წ. ინსულინის შპრიცი მასში არსებული მოთეთრო ლაქით.

ამოღებულ ნივთებზე დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზა.

გურამ რჩეულიშვილს ნარკოლოგიური კვლევის შედეგად ნარკოტიკული საშუალებების – კოკაინის, ტეტრაჰიდროკანაბინიოლისა და ტრამადოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.



სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სუსმა ყალბი ვალუტის საქმეზე თურქეთის მოქალაქე დააკავა

გუშინ, 12 მარტს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე თურქეთის მოქალაქე ა.კ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თურქეთის მოქალაქემ 2.100 აშშ დოლარის სანაცვლოდ 4.200 ყალბი აშშ დოლარი საქართველოში მცხოვრებ ნიგერიის მოქალაქეზე გაასაღა.

გამოძიება დიდი ოდენობით ყალბი ვალუტის შეძენა, შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწი-



ლის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება

საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვედანაყოფებსა და საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტებში კორონავირუსის პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დასუფთავდა დროებითი მოთავსების იზოლატორის სრული შიდა და გარე პერიმეტრი, მათ შორის სპეციალური ხსნარებით დამუშავდა საკანი, სამედიცინო პუნქტი, შეხვედრების და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები.

სპეციალური ხსნარებით დამუშავდა ასევე საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის ყველა სტრუქტურულ ერთეული. დასუფთავდა როგორც მოსაცდელი დარბაზები და ექიმ-ნარკოლოგთა ოთახები, ასევე ინვენტარი. დამუშავდა ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის სამუშაო ოთახები, მოქალაქეთა მისა-



ღები, მოსაცდელ ოთახები.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში სპეციალური ხსნარებით დამუშავდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი, და ასევე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები უკვე ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში , ასევე საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის სამუშაო სივრცეებში.

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების სტრუქტურულ ერთეულებში მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად ჩატარდება.

# „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისკენ მიდის, რაც საბოლოოდ უფრო მეტ ადამიანს შეიწირავს, ვიდრე ვირუსი“



ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე სოციალურ ქსელ Facebook-ში პოსტს აქვეყნებს, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისკენ მიდის, რაც საბოლოოდ უფრო მეტ ადამიანს შეიწირავს, ვიდრე ვირუსი.

უკვე შემცირდა ტურიზმი, გადაზიდვები და მომსახურების სხვადასხვა სფეროები. თუმცა, კომპანიების აქციებზე ფასის დაგდება (რაც კრიზისს უწყობს ხელს) ყველაზე მეტად ნავთობის გაიაფებამ განაპირობა.

აქ არის საინტერესო მომენტი: ფასი არამარტო ვირუსის გავლენით გლობალური მოთხოვნის შემცირების გამო დავარდა, რუსეთმა ჩათვალა, რომ ეხლა კარგი დროა გავლენების ზრდისთვის და ნავთობის მოპოვების შემცირების ნაცვლად გაზრდა გადაწყვიტა.

ამით განაწყენებულმა საუდის არაბეთმა რუსეთს ფასების ომი გამოუცხადა და აპრილიდან ნავთობის დღიური მოპოვების 2.5 მლნ ბარელით ზრდა დააანონსა, ცალკე ემირატებმა დააანონსა დღეში 1 მლნ ბარელით მეტი. რუსეთი აპირებ 0.5 მლნ ბარელით გაზარდოს. ჯამში 4 მლნ-მდე გამოდის. ეს იმ ფონზე, როცა ვირუსის გამო ნავთობზე მოთხოვნა იკლებს და ფასების სტაბილურობისთვის მიწოდება უნდა შეემცირებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთს ნავთობის მოპოვება უფრო იაფი უჯდება, ვიდრე რუსეთს, მეტად არიან დამოკიდებული ნავთობიდან შემოსავალზე (ბიუჯეტის 65%), ვიდრე რუსეთი (ბიუჯეტის 37%). ჯერჯერობით რუსეთის ქცევის მთავარი ახსნა არის აშშ-ის ფიქლის ნავთობის ინდუსტრიის ჩაძირვა და სანქციებამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნება, როცა მსოფლიოში ყველაზე მეტ ნავთობს მოიპოვებდა. ფიქლის ნავთობის მოპოვება ძვირი ჯდება, ამიტომ დღევანდელი ფასებით ზოგი ამერიკული კომპანია გაკოტრებისთვის ან მოპოვების მკვეთრად შემცირებისთვის არის განწირული. თავის მხრივ, ამ კომპანიებზე დამოკიდებულია ბანკები და სხვა სექტორებიც.

საუდის არაბეთი თითქოს რუსეთს ეომება ფასებით, მაგრამ თან კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში აგდებს ამერიკულ კომპანიებს.

არ ვარ საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტი და ვერ დავდებ თავს, არაბებს სინამდვილეში რა ამოძრავებთ, მაგრამ დაპირისპირებას ჯერჯერობით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისკენ მიჰყავს. საბაზრო ფასი და რაოდენობა სიტუაციას თავისით დაალაგებდა, პუტინისა და საუდის არაბეთის დადგენილი ფასი და რაოდენობა კი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობასაც აზარალებს, უფრო „დიადი“ მიზნებისთვის ბრძოლაში.

ჩვენმა „კეთილმა“ მეზობელმა დრო იხელთა და ჩათვალა, რომ ახლა რუსეთის ეკონომიკა უფრო მზადაა კრიზისის გადასატანად, ვიდრე ამერიკისა და OPEC-ის ქვეყნების, – წერს ნამჩავაძე.

**კომერსანტი**

# „ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მარტში ექსპორტი გაგვიუარესდება“



„ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მარტში ექსპორტი გაგვიუარესდება“, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ პალიტრანიუსის გადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

– დღესდღეობით ჩვენ ვართ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებული ქვეყანა და, შესაბამისად, დიდად ვართ დამოკიდებულები იმ პროცესებზე, რაც ხდება საგარეო ბაზრებზე. აქედან გამომდინარე, კორონავირუსის გამო იქნება ნეგატიური ზემოქმედება, რადგან მოსალოდნელია რომ მთლიანად მსოფლიოში მოთხოვნა შემცირდება. ამასთანავე, შემცირდება სავაჭრო აქტივობა და ალბათ, უკვე მარტში უნდა ველოდოთ, რომ ექსპორტის მაჩვენებლები გაგვიუარესდება.

ტურიზმის სტატისტიკა თავისთავად უკვე ნეგატიურია, რადგან ეს იყო ჩვენი შეგნებული გადაწყვეტილება გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავიცვათ მოსახლეობა ამ ვირუსისგან და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არის ჩვენი მინუსი და დანაკარგი, – აცხადებს ნათია თურნავა.

ცნობისათვის, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე კორონავირუსთან დაკავშირებით არსებული ვითარების გამო, ეკონომიკურ გუნდს დაავალა, დღის ბოლომდე ეკონომიკური სტიმულირების კონკრეტული გეგმა წარმოადგინონ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეფექტიანად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც კორონავირუსის გავრცელებით, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკას მიადგეს.

# ქვეყნები, საიდან ჩამოსული მოქალაქეებიც სავალდებულო კარანტინში მოხვდებიან

ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი განცხადებას ავრცელებს.

– კორონავირუსის COVID-19 საქართველოში გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს საზღვარზე შემოსვლის შეზღუდული რეჟიმი ამ დროისთვის ვრცელდება შემდეგ ქვეყნებზე: გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და ირანი.

საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებიც ამ ქვეყნებიდან დაბრუნდებიან, გაივლიან 14-დღიან საკარანტინო რეჟიმს. ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საზღვარზე კორონავირუსის კვლევის ცნობა უნდა წარადგინონ ან გაიარონ საკარანტინო რეჟიმი.

დამატებითი კონსულტაციისთვის გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, – ნათქვამია განცხადებაში.

# რომან გოცირიძე: „გეგმა, რომელმაც ეკონომიკაზე კორონავირუსის უარყოფითი ზემოქმედება უნდა შეარბილოს“

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე „ფეისბუქის“ პირად გვერდზე იმ გეგმის შესახებ წერს, რომელმაც ეკონომიკაზე კორონავირუსის უარყოფითი ზემოქმედება უნდა შეარბილოს.

„ბიზნესპრესნიუსი“ მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ესაა ის ანტიკრიზისული გეგმა, რომელმაც ეკონომიკაზე კორონავირუსის უარყოფითი ზემოქმედება უნდა შეარბილოს:

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე სუბიექტები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, 2020 წლის განმავლობაში დაიბეგრონ ნული პროცენტით;

2. დღგ-სგან გათავისუფლდეს ყველა ბიზნესსუბიექტი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 165 ათას ლარს, ნაცვლად დღეს მოქმედი 100 ათასი ლარისა;

3. გამოცხადდეს მორატორიუმი ტურიზმის სექტორში მიმდინარე წლის ბოლომდე საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადახდაზე და მოხდეს მათი გადანაწილება 2021 წელზე;

4. მთავრობამ მოახდინოს 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება და შეამციროს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, არანაკლებ 300 მილიონი ლარის ოდენობით, ზოგიერთი სახის გადასახადის გადახდის გადავადებისა და განაკვეთების ცვლილების გამო;

5. ლარის კურსის გაუფასურებისა და ფასების ზრდის თავიდან ასაცილებლად, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაამკაცროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და დაახლოებით ერთი მილიარდი ლარით შეამციროს კომერციული ბანკების რეფინანსირების სესხების მოცულობა“, – წერს გოცირიძე.

# ტრამპმა 13 მარტიდან ევროპიდან აშშ-ში ხალხის შესვლა 30 დღით აკრძალა

## ევროკავშირმა ეს გადაწყვეტილება დაგმო



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ევროპიდან აშშ-ის მიმართულებით ავიარეისებზე შეზღუდვები დააწესა.

ამის შესახებ პრეზიდენტმა განცხადება „ტვიტერის“ მეშვეობით გაავრცელა.

ტრამპის თქმით, 30 დღის განმავლობაში ევროპელ მგზავრებს აშშ-ში შესვლის უფლებას არ მისცემენ. აღნიშნული ცვლილება პარასკევს, 13 მარტს, შევა ძალაში.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, დაწესებული შეზღუდვები მხოლოდ მგზავრების შეშვებაზე ვრცელდება და ის ტვირთების გადატანას არ შეეხება.

„გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისა და ბიზნესისთვის, იცოდნენ, რომ ევროპიდან მგზავრობაზე დაწესებული 30-დღიანი შეზღუდვა არანაირად არ შეეხება ვაჭრობას. შეზღუდვები აჩერებს ხალხს და არა ტვირთებს“, – დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ამასთან, ტრამპა განაცხადა, რომ ევროკავშირმა ვირუსთან ბრძოლის კუთხით სიფრთხილის ისეთი ზომების მიღება ვერ შეძლო, როგორიც აშშ-მ განახორციელა.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ვონ დერ ლეიენმა და ევროკავშირის საბჭოს ლიდერმა ჩარლზ მიშელმა ტრამპის ეს გადაწყვეტილება დაგმეს.

„ევროკავშირი გმობს იმ ფაქტს, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება, აკრძალვა დააწესოს მოგზაურობაზე, იყო ცალმხრივი და მიღებულ იქნა კონსულტაციების გარეშე. ევროკავშირი მძლავრ ნაბიჯებს დგამს, რომ შეაჩეროს კორონავირუსის გავრცელება. კორონავირუსი გლობალური კრიზისია. მის დაძლევას თანამშრომლობა უფრო სჭირდება, ვიდრე ცალმხრივი ქმედებები“, – ნათქვამია მათ განცხადებაში.

# ტრამპის მრჩეველი: „ჩინეთის მიერ ინფორმაციის დამალვა მსოფლიოს 2 თვე დაუჯდა, რომ საპასუხო ზომები მიეღო“

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უშიშროების საკითხებში რობერტ ო'ბრეინი მიიჩნევს, რომ ჩინეთის მიერ კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის დამალვამ გლობალური პასუხი ეპიდემიასთან საბრძოლველად 2 თვით დააგვიანა.

მისივე თქმით, კორონავირუსი აშშ-ში არ დაწყებულა და გარკვეული დროის წინ უხანში, ჩინეთში აღმოჩნდა.

– სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება მომხდარიყო, აფეთქება უხანში დამალეს. ჩინეთიდან ინფორმაცია ჟღერდებოდა, რომ ექიმები, რომლებიც ღიად ცდილობდნენ საუბარს, გააჩუმეს, იზოლაციაში მოათავსეს ან კიდევ რაღაც. ასე რომ, სიტყვა ვირუსი ქვეყნიდან არ გამოდიოდა, – განაცხადა ო'ბრეინმა გუშინ, 12 მარტს.

მაღალჩინოსანი მიიჩნევს, რომ სწორედ ჩინეთის მთავრობის ქმედებები მსოფლიოს ორი თვე დაუჯდა, რომ საპასუხო ზომები მიეღო.

– ჩვენ შეგვეძლო, დრამატულად შეგვემცირებინა ის, რაც მოხდა ჩინეთშიც და მთელ მსოფლიოში. დაიმახსოვრეთ, უხანის კორონავირუსმა გამოიწვია ეს და ის ინფორმაცია, რომელსაც მოგვიანებით ვიღებდით, საკმარისი არ იყო. სწორედ ამან მიგვიყვანა აქ, – დასძინა ო'ბრეინმა.

ამ განცხადებას ოფიციალური პეკინი გუშინვე გამოეხმაურა.

– ჩვენ ვისურვებდით, რომ შტატების ზოგიერთ ოფიციალურ პირს თავისი ენერგიის კონცენტრაცია ვირუსის გამკლავებაზე მოეხდინა და არა ჩინეთის დადანაშაულებაზე, – აღნიშნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესსპიკერმა გენგ შუანგმა.



ახალი კორონავირუსი კოვიდ-19 ჩინეთის უხანის პროვინციაში დეკემბერში გამოვლინდა. მსოფლიო მედიამ პეკინი ინფორმაციის დამალვაში არაერთხელ დაადანაშაულა.




# სამხრეთ კორეაში კორონავირუსის ახალი შემთხვევები შემცირდა

სამხრეთ კორეაში კორონავირუსის ახალი შემთხვევები იკლებს.

გუშინ, 12 მარტს, სამხრეთ კორეაში კორონავირუსის ახალი 114 შემთხვევის შესახებ განაცხადეს. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, გარდაცვლილთა რიცხვმა მთლიანობაში 66 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეების განმავლობაში სამხრეთ კორეაში ახალი შემთხვევების რაოდენობა თავდაპირველად დასტაბილურდა, შემდგომ კი კლებისკენ წავიდა.

ამ დროისთვის სამხრეთ კორეაში კოვიდ-19-ის დადასტურებული შემთხვევები 7.860-ს აჭარბებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# კორონავირუსის საწინააღმდეგო ნიღაბი მოდურ აქსესუარად აქციეს

ნიუიორკელებმა კორონავირუსის საწინააღმდეგო სამედიცინო ნიღბები მოდურ აქსესუარებად აქციეს.

ამერიკელები ფიქრობენ, რომ კორონავირუსის ირგვლივ ატეხილი პანიკა სტილისა და დამცავი საშუალებების შერჩევის მიმართ შემოქმედებითი მიდგომის შეწყვეტის საბაბად არ უნდა იქცეს. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი ქუჩაში რომელიმე ცხოველის სახეს მიმსგავსებული ნიღბით დადის, ზოგიერთი – ე.წ. ღიმილებით დამშვენებული, ზოგიერთი კი თავის ქალის გამოსახულებიანი შავი ფერის სამედიცინო ნიღბით გადაადგილდება.

მოქალაქეების დიდი ნაწილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენისგან თავის არიდებას სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს, რის გამოც სამედიცინო ნიღაბი თავის დაცვის ერთადერთ ხელმისაწვდომ საშუალებად იქცა.



# თვითმფრინავის ჩამოვარდნას მამა-შვილი და მათი ძაღლი უვნებლად გადაურჩნენ

ამერიკის ფლორიდის შტატში თვითმფრინავის ჩამოვარდნისას ოჯახი დაღუპვას გადაურჩა.

47 წლის ჯეისონ დოერტი თავის 22 წლის შვილ კალებთან და თავის ლაბრადორ-რეტრივერის ჯიშის ძაღლთან ერთად კერძო თვითმფრინავით სამოგზაუროდ წავიდნენ. ოჯახი ქალაქ დესტინის აეროპორტში მიფრინავდა, როდესაც მათი თვითმფრინავი მწყობრიდან გამოვიდა და ხეს შეეჯახა. მგზავრები ავარიას სასწაულებრივად სრულიად დაუშავებლად გადაურჩნენ.




ადგილობრივებმა ჩამოვარდნილი თვითმფრინავი შენიშნეს და კიბის დახმარებით ჩამოსვეს თვითმფრინავიდან მისი მგზავრები.

– დაუჯერებელია, რომ არც ამ ორ ადამიანს და არც მათ ლაბრადორს ერთი დაზიანებაც კი არ მიუღიათ, – ხაზგასმით აღნიშნა ოკალუსის ოლქის პოლიციის განყოფილების წარმომადგენელმა.

წინასწარი ვერსიით, თვითმფრინავს ძრავამ უმტყუნა. მიმდინარეობს მომხდარის გამოძიება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ საუთ ფულტონში იორკშირულმა ტერიერმა პატრონის ნათესავი გოგონა ორი მძარცველისგან დაიცვა.

# დაჭრილმა იორკშირულმა ტერიერმა გოგონა მძარცველებისგან დაიცვა

რამდენიმე დღის წინ ადგილობრივი დროით დაახლოებით დღის სამ საათზე პისტოლეტებით შეიარაღებული ორი უცნობი პირი დეონ იუინგის სახლში შეიჭრა. იმ დროს სახლში იმყოფებოდნენ სახლის პატრონის ახალგაზრდა ნათესავი გოგონა და ორი წლის ძაღლი, სახელად სტარლა.

გოგონას ტელეფონზე დაცვის სისტემიდან მიუვიდა შეტყობინება, რომ სახლს ვიღაც მიუახლოვდა. რამდენიმე წამის შემდეგ უცნობმა პირებმა მეორე ცდით მოახერხეს კარის შემტვრევა. მათ ძაღლი თავს დაესხა და მძარცველებმა მას ორჯერ ესროლეს. ამის მიუხედავად, დაჭრილი ძაღლი ყეფასა და მძარცველებზე შეტევას აგრძელებდა.

იმ დროში, სანამ ბოროტმოქმედები ძაღლთან გამკლავებას ცდილობდნენ, იუინგის ნათესავმა გოგონამ გაქცევა მოასწრო. მან გაიგონა, თუ როგორ ჰკითხა ერთმა მეორეს, ესროლა თუ არა მისთვის და გოგონა ფიქრობს, რომ ცოცხალი გადარჩა ძაღლის წყალობით, რომელმაც მათი ყურადღების თავის თავზე გადატანა მოახერხა.

გოგონას გაქცევის შემდეგ ბოროტმოქმედები მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. გოგონამ სტარლი ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. ექიმებმა მას მუცლიდან ტყვიები ამოუღეს. ძაღლის პატრონს იმედი აქვს, რომ მისი ერთგული ცხოველი მალე სრულად გამოჯანმრთელდება.


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის განწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რაგბი: საქართველო-რუსეთი უმაყურებლოდ გაიმართება



ხვალ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში რუსეთის ნაკრებთან ითამაშებს. შეხვედრა მაყურებლების გარეშე გაიმართება.

რაგბის კავშირმა მომავალი მატჩის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა:

– ძვირფასო მეგობრებო, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველდღიური კონსულტაციები გვაქვს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 14 მარტს, საქართველოსა და რუსეთის მატჩი გაიმართოს მაყურებლის გარეშე. ყველამ, ვინც უკვე შეიძინეთ მატჩზე დასასწრები ბილეთები, გთხოვთ, მიმართოთ ტკტ.გე-ს თანხის დასაბრუნებლად. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს შექმნილი მდგომარეობის გამო და დიდ მადლობას გულშემატკივრობისთვის.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 26 მარტს ერთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრა საქართველოსა და ბელარუსს შორის ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არავის მიუღია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, საქართველოსა და ბელარუსის 26 მარტს გასამართი დაპირისპირების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, უეფასთან ინტენსიური კომუნიკაცია მიმდინარეობს და ქართული მხარის პოზიცია მატჩის გადადების მოთხოვნაა. შეხვედრის უმაყურებლოდ ჩატარება გამოსავალი არ არის, საფრთხის ქვეშ არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საკმაოდ დიდი მანძილის გავლა მოუწევთ იმისთვის, რომ ნაკრების შეკრებაზე ჩამოვიდნენ.

## შედეგები

**11 მარტი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

**ლივერპული-ატლეტიკო 2:3 (დდ)**

პსჟ-დორტმუნდი ............................ 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-კიოლნი ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 16 | 4 | 4 | 73-26 | 55 |
| 2.დორტმუნდი | 25 | 15 | 6 | 4 | 68-33 | 51 |
| 3.ლაიფციგი | 25 | 14 | 8 | 3 | 62-26 | 50 |
| 4.გლადბახი | 25 | 15 | 4 | 6 | 49-30 | 49 |
| 5.ლევერკუზენი | 25 | 14 | 5 | 6 | 45-30 | 47 |
| 6.შალკე | 25 | 9 | 10 | 6 | 33-36 | 37 |
| 7.ფრაიბურგი | 25 | 10 | 6 | 9 | 34-35 | 36 |
| 8.ვოლფსბურგი | 25 | 9 | 9 | 7 | 34-30 | 36 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 25 | 10 | 5 | 10 | 35-43 | 35 |
| 10.კიოლნი | 25 | 10 | 2 | 13 | 39-45 | 32 |
| 11.უნიონი | 25 | 9 | 3 | 13 | 32-41 | 30 |
| 12.აინტრახტი | 24 | 8 | 4 | 14 | 37-41 | 28 |
| 13.ჰერტა | 25 | 7 | 7 | 11 | 32-48 | 28 |
| 14.აუგსბურგი | 25 | 7 | 6 | 12 | 36-52 | 27 |
| 15.მაინცი | 25 | 8 | 2 | 15 | 34-53 | 26 |
| 16.ფორტუნა | 25 | 4 | 7 | 14 | 25-52 | 22 |
| 17.ვერდერი | 24 | 4 | 6 | 14 | 27-55 | 18 |
| 18.პადერბორნი | 25 | 4 | 4 | 17 | 30-54 | 16 |

# სუხიშვილებმა უკრაინაში გასტროლები შეწყვიტეს



ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ მიიღო გადაწყვეტილება, შეწყვიტოს გასტროლები უკრაინაში და სამშობლოში დაბრუნდეს:

– ჩვენო ძვირფასო გულშემატკივრებო! როგორც იცით, ანსამბლი 1 თებერვლიდან ვიმყოფებით საგასტროლო მოგზაურობაში. დიდი წარმატებით ჩავატარეთ კონცერტები პოლონეთის, რუმინეთის, მოლდოვისა და უკრაინის ქალაქებში. 6-10 მარტს კიევის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც 4000-მდე მაყურებელს იტევს, სრული ანშლაგით გავმართეთ 5 კონცერტი.

გუშინ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე, კორონავირუსით გამოწვეული საფრთხის გამო, ოფიციალურად გამოცხადდა კარანტინი, რის გამოც ვწყვეტთ ტურნეს და ჩვენი პროდიუსერები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ უახლოესი რეისით დაგვაბრუნონ საქართველოში.

საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით, გასტროლებზე მყოფ დასის არც ერთ წევრს არ აღენიშნება ვირუსის სიმპტომები! აქვე გვინდა გითხრათ, რომ მართალია, უკრაინა არ შედის მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვში, ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ ვირუსით შესაძლო ინფიცირების რისკებს და ზუსტად დავიცავთ ყველა საჭირო რეკომენდაციას – ჩამოსვლისთანავე გავივლით სავალდებულო შემოწმებას და დავიცავთ თვითიზოლაციის წესს, რისკენაც მოვუწოდებთ სხვებსაც.

ასევე გაცნობებთ, რომ მოიხსნა თბილისში 3 და 4 აპრილს დაგეგმილი ანსამბლის 75 წლის საიუბილეო კონცერტები.

ნუ მივეცემით პანიკას და მთავარია, დავიცვათ რეკომენდაციები ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად! ჯანმრთელობას გისურვებთ! – ნათქვამია ანსამბლის ოფიციალურ განცხადებაში.

# მიშა შეშაბერიძე კარანტინში მოათავსეს



ოპერის მომღერალი მიშა შეშაბერიძე კარანტინში მოათავსეს. იგი საქართველოში იტალიიდან სპეცრეისით დაბრუნდა და ამჟამად წყალტუბოში იმყოფება:

– ჩამოვფრინდი იტალიიდან საქართველოში სპეცრეისით. პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს საელჩოს იტალიაში, თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრს. ყველა სტრუქტურა და სამსახური იყო აბსოლუტურ მზადყოფნაში და გამოირჩეოდნენ მომზადების მაღალი ხარისხით.

კარანტინში არის შექმნილი უსაფრთხო გარემო და მიმდინარეობის დაავადების მკაცრი კონტროლი.

მე თავს კარგად ვგრძნობ, არ მაქვს არანაირი ვირუსი, თუმცა რისკქვეყნიდან დაბრუნების შემდეგ ძალიან სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო მოქალაქეების კარანტინში მოქცევა და დაავადების გავრცელების არდაშვება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჩემპიონთა ლიგას ახალი გამარჯვებული ეყოლება

**ლივერპული-ატლეტიკო 2:3 (დდ)**

**(პირველი მატჩი 0:1)**

**ლივერპული. ენფილდი**

**1:0 ვეინალდუმი (43), 2:0 ფირმინო (94), 2:1, 2:2 ლორენტე (97, 105), 2:3 მორატა (120)**



**ლივერპული**: ადრიანი, ალექსანდერ-არნოლდი, გომესი, ვან დეიკი, რობერტსონი, ჰენდერსონი (ფაბინიო 106), ვეინალდუმი (ორიგი 106), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (მილნერი 82), სალაჰი, ფირმინო (მინამინო 113), მანე

**ატლეტიკო**: ობლაკი, ტრიპიერი (ვრსალკო 91), სავიჩი, ფელიპე, ლოდი, კოკე, საული, თომასი, ა.კორეა (ხიმენესი 106), დიეგო კოშტა (მ.ლორენტე 56), ჟოაო ფელიქსი (მორატა 103)

ჩემპიონთა ლიგას ახალი გამარჯვებული ეყოლება. გასული სეზონის ჩემპიონმა ლივერპულმა ეს სეზონიც მძლავრად დაიწყო, მაგრამ ჩავარდნა ზუსტად ატლეტიკოსთან 2-მატჩიანი დაპირისპირების წინ დაეწყო. მადრიდელები ინგლისში ერთბურთიანი ჰანდიკაპით ჩავიდნენ. ასეთი დეფიციტის აღმოფხვრა ლივერპულს არ უჭირს და ეს ბევრჯერ დაამტკიცა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო.

სცენარი ადვილად იკითხებოდა: დიეგო სიმეონეს გუნდი იმ უპირატესობის შენარჩუნებაზე ითამაშებდა, რომელიც საშინაო კედლებში მიიღო და კონტრშეტევების იმედად დადგებოდა. ასეც მოხდა – ლივერპული ბევრს უტევდა. თუ თავდაპირველად ეს მხოლოდ საჯარიმოს გარშემო ხდებოდა, მერსისაიდელებმა თანმიმდევრულად დაიწყეს კარში დარტყმებიც და იან ობლაკს უამრავი სამუშაო გაუჩნდა. ობლაკი იღებდა ყველაფერს, რაც მისი კარისკენ მიდიოდა, მაგრამ ზედ შესვენების წინ ჟორჟინიო ვეინალდუმის დარტყმას ვერაფერი მოუხერხა.

ლივერპულის ზეწოლა მე-2 ტაიმშიც გაგრძელდა. ობლაკი, ფაქტობრივად, მარტო იბრძოდა იურგენ კლოპის გუნდის წინააღმდეგ. ლივერპული ცდილობდა საქმე ძირითად დროშივე მოეთავრებინა, მაგრამ ამის საშუალებას ხან ატლეტიკოს მეკარე, ხანაც ხარიხა არ აძლევდა.

ახალი დაწყებული იყო დამატებითი დრო, როდესაც ფირმინომ ის გოლი გაიტანა, რომელსაც მერსისაიდელები მეოთხედფინალში უნდა გაეყვანა. ლივერპულმა ამოცანა კი შეასრულა, მაგრამ აქ უკვე თავი ადრიანმა „გამოიჩინა“. ლივერპულელთა მეკარე მარტივ სიტუაციაში შეცდა და ატლეტიკომ საჭირო გოლი გაიტანა – ახლა კლოპის შეგირდებს გოლი აუცილებლად სჭირდებოდათ. მოხდა კი პირიქით – მადრიდელებმა კონტრშეტევებზე გამოიჭირეს მეტოქე და შეხვედრა 3:2 მოიგეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მარკოს ლიორენტე.

ამ მატჩს ბევრი გმირი ჰყავდა. თუნდაც იან ობლაკი, რომელიც სასწაულებს ჩადიოდა, ვეინალდუმი, რომელმაც ბევრი იმუშავა ლივერპულისთვის და ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა. თუმცა ნიდერლანდელს ეს შრომა წყალში ლიორენტემ ჩაუყარა, რომელმაც დუბლი გაიფორმა და „ენფილდი“ დაადუმა...

**პსჟ-დორტმუნდი 2:0**

**(პირველი მატჩი 1:2)**

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

**1:0 ნეიმარი (28), 2:0 ბერნატი (45)**

**პსჟ**: ნავასი, ბერნატი, კიმპემბე, მარკინიოსი, კერერი, ნეიმარი, გეიე, პარედესი (კუასი 92), დი მარია (კურზავა 79), კავანი, სარაბია (მბაპე 64)

**დორტმუნდი**: ბიურკი, პიშჩეკი, ჰუმელსი, ზაგადუ, ჰაკიმი (გიოტცე 87), ჯანი, ვიტსელი (რეინა 71), გერეირო, სანჩო, აზარი (ბრანდტი 68), ჰოლანდი

**გაძევება**: ჯანი (89)

გერმანიაში მარცხის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ პარიზელები ისევ საწყის ეტაპზე დაემშვიდობებოდნენ ფლეი ოფს, მაგრამ, ამჯერად ასე არ მოხდა. „პარკ დე პრენსზე“ განსხვავებული პსჟ ვიხილეთ – უფრო აქტიური, მობილური და მოძრავი, რამაც შედეგი გამოიღო.

საწყისი წუთები სუმბურული ხასიათის იყო, მაგრამ პარიზელებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა და მალევე გარდასახეს გოლად. დორტმუნდელებმა კი ვერაფრით იპოვეს ის თამაში, რომ ეპასუხათ – პსჟ თავდაჯერებულად ირჯებოდა და შესვენებამდე კიდევ ერთხელ მოახერხა მეტოქის კარის აღება.

პარიზელები შესვენების შემდეგ უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ, დორტმუნდმა ვერაფრით მოარგო გასაღები მეტოქის დაცვას. ამასთან, ვერც ხასიათი გამოავლინეს, არც ენერგია ეტყობოდათ და ფლეი ოფის მეოთხედფინალში პსჟ გავიდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ნეიმარი.

ბრაზილიელმა საკუთარი თამაში ითამაშა და ჩინებულადაც. გაიტანა მნიშვნელოვანი გოლი, ქმნიდა მომენტებს, მუშაობდა დაცვაშიც და გუნდს დიდი სარგებლობა მოუტანა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ნინო ჩხეიძე თვითიზოლაციაშია



მომღერალი ნინო ჩხეიძე თვითიზოლაციაშია. ამის მიზეზი მომღერლის ისრაელში გასტროლები გახდა.

ნინომ ისრაელში კონცერტი გამართა და თავისი ახალი ალბომის პრეზენტაციაც მოაწყო. 12 სიმღერისგან შემდგარი ახალი ალბომი შემსრულებელმა ერთგულ მსმენელებს რამდენიმე დღის წინ წარუდგინა.

მიუხედავად იმისა, რომ ნინომ თერმოსკრინინგით და სკანერით გაიარა შემოწმება, მაინც გადაწყვიტა, სახლში იყოს და არ ეკონტაქტოს ხალხს:

– ბევრმა გადაწყვიტა, რომ რადგან სახლში ვრჩები, კორონავირუსი მაქვს. ეს არის ტყუილი. არც სიცხე მაქვს, არც სურდო, არც მახველებს, ჩამოვფრინდი ისრაელიდან და, რადგან გავიარე აეროპორტში, თვითონ მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩე სახლში და არ ვეკონტაქტო ადამიანებს.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მოსაცდელი დარბაზი სასტუმროში, თეატრში; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ნაკეთობებზე; 3. ოპიუმის ძველებური სახელწოდება; 5. ფულის ერთეული ყაზახეთში; 6. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 12. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში გავრცელებული დიდი მტაცებელი ფრინველი; 14. ზღვაში ბინადარი ლაბისებრი ცხოველი; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 9. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 13. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 17. ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 20. სამთო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნობელი; 2. მესეფი; 3. დიორი; 5. კაპი; 6. ჭოროხი; 8. ნესკრა 11. ზვიადაური; 13. აბაშიძე; 14. ტორნადო; 15. ხორველა; 19. რომი.

**თარაზულად:** 1. ნინოწმინდა; 4. პარკუჭი; 7. ბენთოსი; 9. როლექსი; 10. ბზიფი; 12. პაკჰაუზი; 16. კაზემირო; 17. მანდელა; 18. ინგლისური; 20. რაფსოდი; 20. ლენი; 22. ტრავიატა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯიდა; 2. რვალი; 3. ოპიუმი; 5. ვოლგა; 6. თავკვერი; 8. კვირკველია; 10. ლიეტუვა; 12. გეიზერი; 14. დისნეი; 15. მირაჟი; 16. მზისა.

**თარაზულად:** 1. ჯაგერი; 4. სვანეთი; 7. ფრანკი; 9. მუთაქა; 11. პირანია; 12. გარდნერი; 13. შტირია; 17. გეიტსი; 18. ელჩი; 19. პრევენცია; 20. მაჭახელა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9494

ევრო — 3.3145

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7575

100 რუსული რუბლი — 4.0224

## ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის







## 10 მარტიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იურგენ კლოპი: „ატლეტიკო ასეთ ფეხბურთს არ უნდა თამაშობდეს“



ლივერპული საკუთარ მოედანზე მადრიდის ატლეტიკოსთან დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. მატჩი ატლეტიკომ 3:2 მოიგო და ეს დამატებით დროში მოხდა. ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ატლეტიკოს გაუმართლა, თუმცა მან ესპანელები ბოლომდე ბრძოლისთვის მაინც შეაქო:

— არ მესმის, ატლეტიკო დაცვით ფეხბურთს რატომ თამაშობს, როდესაც მას შეტევაშიც შესანიშნავად შეუძლია მოქმედება. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია და, სამწუხაროდ, დავმარცხდით.

## ჯერარდი: „ტურნირების ჩაშლას სჯობს, ცარიელი ტრიბუნებით ვითამაშოთ“



გლაზგო რეინჯერსის მთავარმა მწვრთნელმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ ტურნირების გაჩერება არ შეიძლება, რადგან ეს ქაოსს გამოიწვევს. ჯერარდის აზრით, ჯობს, გუნდებმა ცარიელი ტრიბუნებით ითამაშონ:

— ჩემი აზრით, ტურნირების ჩაშლა სამარცხვინოა, რადგან გაუგებარია, როდის განახლდება ისინი და როდის ჩაატარებენ გადატანილ შეხვედრებს. უმჯობესია, ისევ ცარიელ ტრიბუნებზე ვითამაშოთ, რადგან სხვა გზა ამ ეტაპზე არ არსებობს.

## მსოფლიოში ერთადერთი ალბინოსი ორანგუტანი აღმოაჩინეს

კუნძულ ბორნეოს ინდონეზიურ ნაწილში სრულიად ჯანმრთელ მდგომარეობაში მყოფი მსოფლიოში ერთადერთი ალბინოსი ორანგუტანი შენიშნეს. სოფლის მცხოვრებლებს ცისფერთვალებიანი და მთლიანად თეთრი ფერის ბეწვით დაფარული ორანგუტანი, სახელად ალბა, გალიაში ჰყავდათ მოთავსებული. ცხოველთა დამცველებმა ორანგუტანი 2017 წელს ჩამოართვეს სოფლის მცხოვრებლებს. 2019 წელს, როდესაც ისინი მიხვდნენ, რომ ალბას დამოუკიდებლად შეეძლო ცხოვრება, მისი ველურ ბუნებაში გაშვება გადაწყვიტეს.

მარტის დასაწყისში ბორნეოზე ორანგუტანების გადარჩენის ფონდმა სამი სხვა ორანგუტანის მონიტორინგი განახორციელა, რა დროსაც სრულიად ჯანსაღ მდგომარეობაში მყოფი ალბა აღმოაჩინეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 13 მარტისთვის



**ვერძი** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **კურო** — ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ნუ გარისკავთ. საყიდლებზე წასვლა დღეს არ ღირს. **ტყუპები** — ცდუნებას არ აჰყვეთ. სავაჭროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** — ნუ იაქტიურებთ. ეცადეთ, საკუთარ გრძნობებსა და აზრებში გაერკვეთ. ეცადეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდეთ. **ლომი** — ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ნუ აჩქარდებით. **ქალწული** — კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. ნუ გარისკავთ. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრების გარემოცვაში დაისვენებთ. **სასწორი** — მნიშვნელოვანი საქმეების დასაწყებად შეუფერებელი დღეა. შესაძლოა, საქმიანმა პარტნიორმა იმედი გაგიცრუოთ. **ღრიანკალი** — საყვარელ ადამიანებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, უნდა დამშვიდდეთ და სულიერი წონასწორობა მოიპოვოთ. **მშვილდოსანი** — ყურადღება მიაქციეთ თქვენსა და ახლობლების ჯანმრთელობას. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** — სერიოზული ცვლილებების დღეა. ეს ცვლილებები იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. თქვენზე გავრცელებულ ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** — მეგობრული და ნათესაური კავშირების აღსადგენად შესაფერისი პერიოდია. ფრთხილად იყავით კონფლიქტური სიტუაციებისას. ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— ამბობენ, რომ ბოროტება შობს ბოროტებას და ეს რას ნიშნავს?

— რას და ჩემმა სიდედრმა ჩემი ცოლი გააჩინა...

•••

ტელეფონი რეკავს და ერთი მეორეს ეუბნება:

— გამარჯობა!

— დიახ.

— უნდა მიპასუხო: „გამარჯობა“ და არა „დიახ“. სახლში ხარ?

— გამარჯობა.

•••

პატრული წინ მიმავალი მანქანის მძღოლს მიმართავს:

— „მერსედესი“, მაი ღვედი იღლიაში რომ ამოგიდვია, თერმომეტრი კი არ არის, წესიერად გეიკეთე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— შენი ახალი მეზობელი როგორი კაცია?

— როგორი და ისეთი უბედურის ერთია, ხელს რომ ჩამოგართმევს, თითები უნდა დაითვალო, რომელიმე ხომ არ აგწაპნა!

•••

მამაკაცი მატარებელმა გაიტანა. დასაფლავების დროს თვალებს ვერ უხუჭავენ და ცოლმა დაატირა:

— ახლა რომ დაგიყვლეპია მაი თვალები, შე უბედურო, მატარებელი რო მოდიოდა, მაშინ სა იყავიიი...

•••

დილით ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— რავა ხარ, ძამა, საით მიხვალ?

— მამაჩემის საფლავზე.

— ასე დილაუთენია?

— რავა, ეძინება თუ?!

•••

ტყეში მიმავალ კაცს წინ იარაღმომარჯვებული ყაჩაღი გადაუდგა და ეუბნება:

— ფული, ჩქარა!

— მზესუმზირა მაქვს აგერ, ბატონო და ინებეთ.

— შენ რა, მასხარად მიგდებ?! მზესუმზირა რა ჯანდაბად მინდა?!

— თავს შეიქცევთ, სანამ ვინმე ფულიანი გამოივლის.

•••

სტუმრად ჩასული თბილისელი მასპინძელს ეკითხება:

— როგორ ხარ, გურულო?

— გურული კი არა, ინდიელი ვარ!

— როგორ ხარ, კაცო, ინდიელი?

— ბიჭო, მშია, მწყურია, ფეხზე მე არ მაცვია და ტანზე და ინდიელი ვარ, აბა რა ჯანდაბა ვარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი გაგნიძე: „ამერიკაში პანიკა არ არის“

### „მეტროპოლიტენ ოპერამ კორონავირუსთან დაკავშირებით განსაკუთრებული ზომები მიიღო“





**ქართველ მომღერალს წლის ხელოვანის ჯილდო გადაეცა**

„ბრავო, ჯორჯ“, „ბის, ჯორჯ“, — მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ბარიტონს, გიორგი (ჯორჯ) გაგნიძეს მსოფლიოს სცენებზე ასე ეგებებიან და აპლოდისმენტების გამო ფარდა დიდხანს არ იხურება, ცოტა ხნის წინ საქართველოში მიღებულმა ჯილდომ განსაკუთრებულად გაახარა. შვეიცარიის ბიზნეს-სარეიტინგო ასოციაციამ მსოფლიოში ცნობილ ბარიტონს გადასცა სპეციალური ჯილდო მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილისთვის.

— მე ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომ საქართველომ დაინახა ჩემი წვლილი ქართულ კულტურაში. გამოკითხვებითა და რეიტინგებით გადაწყდა და წლის ხელოვანის ჯილდო გადმომეცა, რაც ჩემთვის ძალიან საამაყო და ძვირფასია. ბედნიერებაა, როცა შენი ხალხი გაფასებს, — გვითხრა გიორგიმ.

ბარიტონი წელს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების 25 წლის იუბილეს გალაკონცერტით აღნიშნავს. 27 ივნისს თბილისში, ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის დარბაზში ჩატარდება კონცერტი „25 წელი მსოფლიო სცენებზე“.

გიორგი გაგნიძემ წლევანდელი სეზონი გრანდიოზულად გახსნა. 7 იანვარს ლონდონის „კოვენტ გარდენში“ (სამეფო ოპერის თეატრი) გამოვიდა, მერე იყო პრემიერა იტალიაში, ნეაპოლში ახალი „ტოსკას“, რომელიც კინოსა და თეატრის ცნობილმა იტალიელმა რეჟისორმა ედუარდო დე ანჯელიმ და ცნობილმა იტალიელმა დირიჟორმა დონატო რენძეტიმ დადგეს. წარმოდგენები ტრიუმფით ჩატარდა. პირველივე წარმოდგენიდან ბოლო სპექტაკლის ჩათვლით ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ამჟამად გიორგი ნიუ იორკში, მეტროპოლიტენ ოპერაში იმყოფება მუდმივად მიწვეული სოლისტის სტატუსით.

„ორი მეგა ვარსკვლავი ერთ სცენაზე“ — ასეთი ანონსი უძღვნეს „ტოსკას“, სადაც მთავარ როლებს გიორგი გაგნიძე და ანა ნეტრებკო 26 მარტიდან 18 აპრილამდე ითამაშებენ. ყველა სპექტაკლის ბილეთები გაყიდულია.

ქართველ მომღერალს მეტროპოლიტენში 100 წარმოდგენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. გიორგისთან საუბრის საშუალება რადგან მოგვეცა, ბუნებრივია, გვერდი ვერ ავუარეთ მთელი მსოფლიოს პრობლემას, კორონავირუსს, რის გამოც ბევრი თეატრი დაიხურა, მათ შორის ლა სკალაც.

— აქ არანაირი პანიკა არ არის. მეტროპოლიტენიდან მივიღეთ ოფიციალური წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ თეატრი ყველანაირ ზომებს მიმართავს, რომ ვირუსი არ გავრცელდეს. ასევე მომღერლებს გვთხოვეს, რომ თუკი ვინმე რამე სიმპტომს შეამჩნევს, თეატრს მაშინვე აცნობოს.

ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და სოლიდარულები ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. ბევრი იტალიელი მეგობარი მყავს და მათ გამძლეობას, ჯანმრთელობას ვუსურვებ.

ჩემი ოჯახი საქართველოშია, სადაც ასევე 20-ზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა და მინდა, ყველას მიმართ გამოვხატო თანადგომა. დარწმუნებული ვარ, ყველა ერთად დავძლევთ ამ გამოწვევას და ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ, — აღნიშნა გიორგი გაგნიძემ გაზეთ „ახალ თაობასთან“ საუბარში.

## კრიშტიანო რონალდუ მადეირაში გაიქცა



იუვენტუსის ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ ამჟამად თავის მშობლიურ მადეირაში იმყოფება, სადაც კვირას გაემგზავრა.

მიუხედავად ამისა, რონალდუმ მაინც მიმართა კარანტინს, რადგან მას ჰქონდა შეხება თანაგუნდელ დანიელე რუგანისთან, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა.

მთლიანად იუვენტუსიც, ბუნებრივია, კარანტინშია და ლიონთან შეხვედრა, სავარაუდოდ, არ გაიმართება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ რონალდუ იტალიაში მანამდე არ დაბრუნდება, სანამ ვირუსი არ ჩაცხრება და იტალიის ჩემპიონატი არ განახლდება.

## მადრიდის რეალი კარანტინშია, ესპანეთის ჩემპიონატი 2 კვირით შეწყდა



კორონავირუსმა მადრიდის რეალამდეც მიაღწია. კერძოდ კი საკალათბურთო გუნდის ერთ-ერთ მოთამაშეს ვირუსი დაუდასტურდა. მოთამაშის ვინაობა ცნობილი არ არის. რადგან საკალათბურთო და საფეხბურთო გუნდები ერთ შენობაში ვარჯიშობენ, რეალის ყველა ფეხბურთელი კარანტინშია გადაყვანილი, ესპანეთის ჩემპიონატი კი ჯერჯერობით ორი კვირით შეწყდა.

სავარაუდოდ, რეალის შეხვედრა მანჩესტერ სიტისთან ასევე გადაიდება, თუმცა ამაზე ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა. სიტი-რეალის მატჩი 17 მარტს უნდა გამართულიყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ამერიკული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჟურნალი; 2. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 3. სატანვარჯიშო იარაღი; 5. ყველაზე დაბალი რეგისტრის სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. ტბა, ქალაქი, კანტონი შვეიცარიაში; 8. ქართული ლუდი; 11. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 13. მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრი; 14. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. სასტუმროს ერთ-ერთი სახეობა; 19. ემილ ზოლას რომანი.

**თარაზულად**: 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 7. აეროპორტი რიგაში; 9. ქალაქი იმერეთში; 10. ჯარების მართვის ორგანო; 12. გამოსახულების გამრუდება ოპტიკურ ხელსაწყოებში; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. ჩინური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 18. პირველი იტალიელი კოსმონავტი მამაკაცი; 20. თირკმლების ანთება; 21. მოხარშული ძროხის ჩლიქებისა და ფაშვისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 22. ქუჩებში დამონტაჟებული სახანძრო ონკანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

